პარასკევი, 1917 წ. ნოემბრისთვის 24 (7) № 259

წელიწადი მესამე

პარასკევი, 1917 წ. ნოემბრისთვის 24 (7) № 259

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქ. № 5 თავად-აზნაურობის ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი. ფული და წერილები, რომელიც კონტორას ეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა წარდგენილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### ცნობებიდან

ბოლშევიკებმა ყოფილი მინისტრები კრონშტატში გადაიყვანეს.—ბიხოვიდან კორნილოვი გაქცეულა, მას თან გაჰყოლია ოთხასი ტეკინელი. პეტროგრადში ბოლშევიკებს დამფუძნებელ კრებაზე გაჰყავთ 6 კანდიდატი, კადეტებს ოთხი, სოციალისტ რევოლუციონერებს 2.—კლემანსოს უთქვამს ბოლშევიკებმა ნიღაბი აიხადეს და ყველამ დაინახა, რომ ისინი გერმანულ ხავისკენ მიისწრაფიანო. ხმებია, ნიკოლოზი ტობოლსკიდან იაპონიაში გაიპარაო.

### წერილებიდან

დ. კასრაძე. დაღუპული რუსეთი.

ქართლელი. სასურსათო კომიტეტი და მაგარი სასმელების ბედი.

აკაკი ჩხენკელის სიტყვა ეროვნულ ყრილობაზე წარმოთქმული.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მოწოდება.

კორესპონდენცია ხევიდან, კახეთიდან.

ეროვნული ყრილობის ანგარიში.

## საზოგადო მზრუნველობის სამინისტროს კომისარისაგან

ყველა ჯარის კაცთა იმ ოჯახის წევრთა საყურადღებოდ, რომელნიც ამიერ კავკასიაში ღებულობენ ხაზინისაგან დახმარებას.

მოქალაქენო! მთელი რუსეთი და მასთან ერთად ამიერ-კავკასიაც მძიმე დღეებს განიცდიან.

პეტროგრადში კანონიერი მთავრობა აღარ არის, რის გამოც სახელმწიფო ბანკიდან ფული თავის დროზე აღარ მოდის და ამიტომ ამიერ-კავკასიაში მყოფი ყველა, სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციები იძულებულნი არიან იმ ფულით დაკმაყოფილდნენ, რომელიც ამიერ-კავკასიის ხაზინებში არის. რადგანაც ამ ფულით ყველა მოთხოვნილებათა სავსებით დაკმაყოფილება შეუძლებელია, შეუძლებელია, რომ სხვებთან ერთად ვერც ჯარის კაცების ოჯახებმა მიიღონ სავსებით და თავის დროზე დაწესებული კერძი.

მოვუწოდებ ყოველი ჯარის კაცის ოჯახს, უდრტვინველად აიტანოს მძიმე მდგომარეობა იმ იმედით, რომ მას მალე მოეღება ბოლო. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მიიღო ყველა ზომები, რომ, როგორც პეტროგრადიდან ისე სხვა წყაროებიდან საკმაოდ შემოვიდეს ფული ამიერ-კავკასიაში. მიღებულმა ზომებმა უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი.

მოქალაქენო! შეიგნეთ თქვენი სამშობლოსადმი მოვალეობა, მოთმინებით აღიჭურვენით და ტყუილად ნუ ივლით ფულის სათხოვნელად გამგეობებში იმ დაწესებულებებში საიდანაც კერძს იღებთ, ვინაიდგან მათ ამ ხანად იმაზე მეტის მიცემა არ შეუძლიანთ, რასაც იძლევიან.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი დარწმუნებულია, რომ კერძის მიმღებნი გრძნობენ სამშობლოს წინაშე თავის პასუხის მგებლობას, დაიცავენ სრულ სიწყნარეს და ამ მძიმე ხანაში დახმარებას გაუწევენ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელსაც აქვენმა სრულუფლებიანმა რევოლუციონურმა ორგანოებმა დაავალა ერთობ მძიმე დანიშნულების შესრულება: ჩვენი სამშობლოს დაყენება თავისუფალ განვითარების ბრწყინვალე გზაზე.

კომისარი ა. ოგანჯანიანი.

2—844—1

წარმოდგენა № 11.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

### სახალხო სახლი

ხას. ხან ახ. ქართ. წარ. მმართვ. წრე.

პარასკევს 24 ნოემბერს 1917 წ. წარმოდგენილი იქნება

### მეზობლები

დრ. 4 მოქ. ტ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ✦ ადგილების ფასი 1 მ. 20 კ. 25 კ-დე.

შემდეგი წარმოდგენა 7 დეკემბერს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟ. კ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშ. ალ. ბადრიძე.

2—843—2 ქარ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

# საქართველოს ეროვნული ყრილობა

## მესამე დღე

ყრილობა გახსნა დღის პირველ საათზე ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ. თავმჯდომარემ პირველი სიტყვა მისცა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელს თავად ქ. აფხაზს. თავადი აფხაზი ტრიბუნაზე ადის. მას ტაშის ცემით ეგებებიან.

### კ. აფხაზის სიტყვა

ქ. აფხაზი. მე წარმოვსდექი თქვენს წინაშე თბილისის გუბერნიის თავად აზნაურების დავალებით, რათა გაუწყოთ თავად-აზნაურთა ყრილობის დადგენილება ღვინობისთვის 29 დღისა. ამ დღეს გადაწყდა, რომ მთელი თავად-აზნაურების ქონების ღირსეულ მემკვიდრედ გამოცხადებულ იქმნას ქართველი ერი...

ეს ქონება არ იყო მამა-პაპას მიერ მთამომავლობითი დატოვებული, არამედ იყო, თავად-აზნაურობის მიერ შენაძენი ამ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში. თავად-აზნაურობას დიდი წარსული აქვს სამხედრო ასპარეზზედ. ამას გარდა სამოქალაქო ასპარეზზედაც მრავალი შესანიშნავი პირი მოგვცა ამ წოდებამ. (ტაში).

თავად-აზნაურობა შეურიგებელი მტერი იყო რუსეთის ძალ-მომრეობისა. მთიულეთის, კახეთის და იმერეთის აჯანყებაში თავად-აზნაურობამ მიიღო მეთაურობა და ხელმძღვანელობა. მაგრამ ამ აჯანყებებმა ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა ვერ შესცვალა. საქართველო ვერ იხსნა რუსეთის კლანჭებისაგან. ალბად რუსეთი ძალით უნდა გაბატონებულიყო ჩვენში. რუსეთმა საქართველოს ტერიტორია ერთნაირ საშუალებად გაიხადა თავისი დაპყრობითი პოლიტიკისათვის. ქართველი ერი, ერთად-ერთი ერი იყო, რომელსაც შეეძლო წარსული მოეგონებია და რუსეთის დაპყრობითი გეგმები დაეშალა. ამ გარემოებამ რუსის წრეში შიში და ჰბადა, რაც ქართველთა შევიწროებაში გამოიხატა. ყველა ამით მოჰყვა რუსეთის ადმინისტრაციის გაძლიერება ჩვენში, რასაც დაერთო უცხოელთა კოლონიზაცია და უცხო კაპიტალის შემოჭრა ჩვენში. ამან კი ქართველი ერის დაბეჩავება და დაუძლურება გამოიწვია. ქართველობა თანდათან იღევნებოდა, ქართული სული თანდათან ჰქრებოდა. ქართველმა თავადაზნაურობამ ხელი მიჰყო კოლლექტიურ ქონებას შექმნას, და მოკლე ხანში პატრონი გახდა იმ ქონებისა, რომელიც მან დღეს ქართველ ერს უანდერძა.

#### სათავად-აზნაურო ბანკი.

1874 წ. დიმიტრი ყიფიანის მეცადინეობით დაარსდა სათავად-აზნაურო ბანკი. ბანკის წესდებაში აღიარებული იყო, ბანკის მოგების ნახევარი მოხმარდეს მიწის მუშას. ბანკმა დიდი შემოსავალი მისცა თავად-აზნაურობას. დღეს ბანკი წლიურად წმინდა შემოსავალს ლეიძვა 300,000 მან. ამ მოგებით იკვებება ოცდა-ათი ქართული კულტურული დაწესებულებანი.

#### კახეთის რკინის გზა.

ამ გზას დიდი ხნის ისტორია აქვს. თავად-აზნაურობას დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდა ამ საქმის კეთილად დასაგვირგვინებლად. ბოლოს 1915 წ. ამ გზაზე მატარებელმა დაიწყო მუშაობა. ამ გზამ დიდი სამსახური გაუწია კახეთის მცხოვრებლებს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს რკინის გზა რომ არ ყოფილიყო, კახეთის მცხოვრებლები ამ ომის დროს შიმშილით ამოიხოცებოდნენ. ამ რკინის გზის ღირებულება 18 მილიონ მანეთს აღემატება.

#### თავად-აზნაურობის შენობა

სასახლის ქუჩაზე, რომლის შემოსავალი წლიურად 120,000 მ. იძლევა!. თავად აზნაურობას აქვს ელექტრონის სადგური, რაც წლიურად იძლევა 100,000 მ. წმიდა შემოსავალს.

ქართული გიმნაზია, რომლის შენობის ღირებულება ორ მილიონს აღემატება. ორატორმა შემდეგ ყრილობას წაუკითხა თავად-აზნაურთა ყრილობის დეკლარაცია ქართველ ერისადმი და ასე დაასრულა თავისი მოხსენება:—თავად აზნაურობის ნაბიჯი მუხლის მოდრეკა კი არ არის, არამედ მისალმებაა ქართველი ერისადმი (ტაში). ქ. აფხაზის შემდეგ სიტყვა მიეცა ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღვარს თავად დ. ნიჟარაძეს, რასაც ტაშით მიეგებენ.

### დ. ნიჟარაძის სიტყვა

მამულიშვილნო!

მეტად და მეტად ბედნიერი ვარ, რომ მეც წილად მხვდა მივესალმო ამ ტრიბუნიდან ამ სანატრელს პირველ საქართველოს ეროვნულ კრებას. სრულებით მეტად მიმაჩნია კვლავ განვიმეორო და გაგახსენოთ ისტორიული ღვაწლი ქართველ თავად-აზნაურობისა, თავის სამშობლოს და ქართველ ერის წინაშე, რადგან ყოველივე ამას შეეხო და განმარტა კონსტანტინე აფხაზმა. კარგი იყო იგი თუ ავი ერთგვარად უწევდა სამსახურს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურობა ისე დასავლეთ საქართველოსა რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში და თვით რუსეთთან შეერთების შემდეგაც, რამდენადაც ეს მათ შეეძლოთ იმ ფარგლებში მომწყვდეულსთ, რომლებშიაც იგი ორმოცდა-ათ წლებიდან რუსის მთავრობამ ჩააყენა კანონების მეცხრე ტომის ზეგავლენის ქვეშ.

დასავლეთ საქართველოს აზნაურობამაც რვა ამა გიორგობისთვეს ისეთივე დადგენილება გამოიტანა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურობამ. მან თავის მემკვიდრედ აღიარა სრულიად ქართველი ერი. თუმცა დასავლეთ საქართველოს აზნაურობას, ისეთი სიმდიდრე არა ჰქონია, როგორიც ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურობას, მაგრამ მან თავისი მწვლილი ერთად ამ უკანასკნელთან გარდასცა ერს.

დადგენილება აზნაურობის კრებისა ამის შესახებ მე უკვე ვახელი თბილისის აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს და ვსთხოვე ერთად აღმოსავლეთ აზნაურობის კრებას დადგენილებასთან გარდასცეს იგი კუთვნილებისამებრ. დასავლეთ საქართველოს აზნაურობისაგან ერზედ გარდაცემულ მამულებს შეადგენ: ქართული გიმნაზია თავის შენობებით, სენაკის სკოლა თავის შენობებით, აზნაურობის ბანკი, რომელიც ერთ ა. და იმავე დროს არის დაარსებული, როგორც თბილისის აზნაურობის ბანკი და ერთი და იგივე წესდება აქვთ.

შემდეგ ერთსულოვნებისა და სოლიდარობისა, ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომელნიც ამ სანატრელს ეროვნულ კრებაზე გამოიხატა ცოტა გამონაკლისით, მე სულით და გულით აღფრთოვანებული ვბრუნდები დასავლეთ საქართველოში და ვახარებ მას, რომ საქართველო აღსდგა! ქართველი ერი ხელი ხელ ჩაკიდებული ერთ-სულოვნად და ერთგულოვნად განურჩევლად პოლიტიკურ მიმართულებისა, დადგა საქართველოს თავისუფლების დროშის ქვეშ და იგი ამ დროშის ქვეშ დაუყოვნებლივ განახორციელებს დიდის ხნის თავის იდეალებს, თავის დიდებულ ისტორიას სავსებით აღდგენისას, მაშ გაუმარჯოს ქართველ ერს. (ტაში)

### ნ. ჟორდანიას სიტყვა.

ნ. ჟორდანია. პირველი ეროვნული ყრილობა მადლობას უცხადებს ქართველ თავად-აზნაურობას (ტაში), ყრილობა ჰფიქრობს, რომ დღეიდან ეს წოდება გვერდში ამოუდგება ქართველ ერს. ამიერიდან საქართველოში პრივილეგიური წოდება აღარ არსებობს. (ტაში). ამიერიდან ქართველი ერი იურიდიულად შეიქმნა ერთი მთლიანი და ეს იქნება მერმისის საფუძველი. მთავრობის აქტი წოდების გაუქმების შესახებ ამ დღეებში გამოქვეყნდება.

### მილოცვაები

ამის შემდეგ ს. დადიანმა წაიკითხა დეპეშები—მილოცვანი ქართულ ყრილობისადმი. ქართულ ეროვნულ ყრილობას სალამს უძღვნიდნენ გერმანელთა სახალხო, თბილისის უმაღლესი ქალთა კურსები, კავკასიის ებრაელთა სიონისტების კომიტეტი, ერევნის წურა-კითხვის საზოგადოების განყოფილებიდან, და მუსულმანებიდან.

### ა. ჩხენკელის სიტყვა

მოქალაქენო! მე ბედმა მხვდა პირველს საქართველოს ეროვნულ ყრილობას მოვახსენო საქ. ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს სახელით მხურვალე სიტყვა მილოცვისა და სიხარულისა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ან რატომ არ უნდა გვიხაროდეს, როცა ვხედავთ აქ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან თავმოყრილ პოლიტიკურ ორგანიზაციათა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებს. ამას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ეს პირველი ეროვნული ყრილობაა ჩვენის ხალხისა. დღევანდელი დღე—19 ნოემბერი—არის დღე, რომელიც არ ამოიფხვრება ჩვენი ხსოვნიდან. მართალია დღევანდელს ყრილობას ვერ დავუძახებთ საქართველოს ნამდვილ სახეს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ყრილობაზე წარმოგზავნილი არიან ყველა საკულტურო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დელეგატები, რომ აქ არიან ჩვენი დაბა-ქალაქების ნორჩ დემოკრატიის და მის აღმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლები, რომ აქვე მონაწილეობენ საპროფესიო კავშირების და მუშათა და ჯარისკაცთა სარევოლუციო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ასეთი შემადგენლობის ყრილობა უშველად გამოსთქვამს ქართველ ერის ნამდვილს გულის თქმას და ზრახვას:

აქვე არიან სტუმრები და ნება მომეცით თქვენი სახელით მივესალმო მათ, ჩვენ სტუმრებს, პირველ ყოვლისა ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელიც სრულის შემადგენლობით აქ იმყოფება (ხმის ტაში).

მივესალმები აგრეთვე ამიერ-კავკასიის რევოლუციონურ ცენტრის დელეგატებს (ტაში). აქვე არიან უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი: ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, სპარსეთის და იტალიისა ნება მომეცით თქვენის სახელით მათ მივესალმო (დიდი ტაში). აქვეა კავკასიის ფრონტის სარდალი პრჟევალსკი (ტაში, პაუზა). მე ვიტყოდი თქვენს მაგიერ: გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლუციას! (ხმები: გაუმარჯოს! ტაში) გაუმარჯოს აგრეთვე ყველა ერთა და სახელმწიფოთა სამართლიანს დემოკრატიულ ზავს! (ხმები: გაუმარჯოს! ტაში). აქვე არიან მოქალაქენო, ჩვენ ძვირფას მეზობელ ერების წარმომადგენლები! სპარსეთის, რუსეთის, უკრაინის, პოლონეთის, აფხაზეთის, ებრაელების, სომხების, თათრების, ლიტვის (ტაში). გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას! (მხურვალე ტაში).

მოქალაქენო! დღეს ჩვენ ფრიად საბედისწერო და საპასუხისმგებლო მომენტს განვიცდით. მთელი რუსეთი ომის ქარცეცხლითაა მოცული. მრავალი საკითხი უძევს მას წინ გადასაწყვეტად. დღიურ წესრიგშია და მთელი რუსეთის სხვადასხვა ერთა ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ჩვენ ფეხზე წამოდგომით პატივს ვსცემთ იმ უთვალავ მსხვერპლს, ამ ომმა რომ შეიწირა, პატივს ვსცემთ იმ გმირებს, რომელთა სისხლით და სიკვდილით მოვიპოვეთ დღევანდელი ბედნიერება და თავისუფლება, სულს ვიდრეკთ ჩვენ გმირ ძმათა უთვალავ საფლავების წინაშე. ისინი იბრძოდენ მთლიანობისთვის. გაუმარჯოს რუსეთის დემოკრატიის ერთს მთლიანს ფრონტს (ტაში).

მოქალაქენო! ჩვენ, ამიერ-კავკასიის ერებს, შეგვეძლება თავი მოვიწონოთ იმ როლით, რომელიც ითამაშეს დღემდე ყველაზე რუსეთის რევოლუციაში. და დღეს, როცა რუსეთს არა ჰყავს ერთი ცენტრალური მთავრობა, ჩვენ მაინც ვიტყვით იმას, რაც გვითქვამს: გაუმარჯოს რუსეთის მთლიან დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ის ძლიერი ტალღა რომელიც ჩვენ ოქტომბერს გადმოსროლილია ცენტრიდან და პერიფერიებს დაღუპვას გვიქადის, გვეკისრება დაღუპვის აცილება სწორეთ ამ პერიფერიების გამაგრებაა. ჩრდილო კავკასიაში უკვე გაჩნდნენ ეროვნულ-პოლიტიკური ერთეულები, რომელნიც ლამობენ თვის საკუთარი ძალ-ღონით საკუთარ საქმეების გაძღოლას. ამიტომ აუცილებელია ჩვენთვისაც ეს გზა და კავშირი ერების შორის, საჭიროა ერთი პირით შევიკრათ, ერთად ვიაროთ საფრთხის თავიდან ასაცდენათ. ამიერ-კავკასიის კომისარიატი ვერ შესძლებს თვის დანიშნულების აღსრულებას, თუ იგი არ დაეყრდნო ამიერ-კავკასიის ერთა ძალას, ერთა სოლიდარობას. მე დიდი სიამოვნებით წავიკითხე მოწოდება—დეკლარაცია კომისარიატისა ამიერ-კავკასიის ერებისადმი. ის ადგილი დეკლარაციისა, რომელიც ეხება ეროვნულ საკითხს, მეტად დამაკმაყოფილებელია. ყველა ერი ამის ძალით წარუდგენს თავის მოსაზრებებს იმისას, თუ როგორ უნდა მოეწყოს და მოეწყოს მათი ბედი და იღბალი.

თუ ვინიცობაა დამფუძნებელი კრება არ შესდგა, ჩვენ ვირჩევთ დეპუტატებს, რომელნიც ჩვენ ბედს ისე გადასწყვეტენ, როგორც ჩვენ მოვისურვებთ და დავავალებთ. ყოველ ერს უნდა ჰქონდეს რევოლუციურ-დემოკრატიული პრინციპი, ხოლო ასეთი პრინციპის ერთა თვითგამორკვევა, რომელიც უნდა განახორციელოს ყველა ერმა სხვა ერთა დახმარებით.

თქვენ კარგათ იცით, მოქალაქენო, თუ რას ჰგულისხმობს ეს პრინციპი და როგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში ეს არის ეროვნულ-პოლიტიკური თვითმართველობა საკუთარის კანონმდებლობით და. (ძლიერი ტაში) მმართველობით. ამ საგანზე შემდეგ ყრილობას წარმოუდგენება ცალკე მოხსენება ამ. ნ. ჟორდანიას მხრივ.

მეორე საკითხი, ამ ყრილობაზე გამოსარკვევ - გადასაწყვეტი, შემდეგია: მისაღები გვაქვს ქართველ თავად-აზნაურობისაგან მამული, რაც საისტორიო მოვლენაა მთელ რუსეთში (ტა-

ში მარჯვენა ფრთაში) რუსეთის თავად-აზნაურთა შორის ქართველმა თავად-აზნაურობამ პირველი ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა, თუ ღრმად დავაკვირდებით ამ მოვლენას, დავინახავთ, რომ ეს მიეწერება ქართველი ერის სიძლიერეს, მის დემოკრატიის მნიშვნელობას და გავლენას. ქართველი ერი და დემოკრატია არის ისეთი ძლიერი ფაქტორი, რომლის წინაშე თავად-აზნაურობას ქედი უნდა მოეხარა (ტაში). დღეს-დღეობით უკულმართ პირობების წყალობით ქართველ ერს, როგორც ასეთს არა აქვს საკუთრება, აქვს მარტო წოდებას, შემდეგში მას ქონება უეჭველად ექნება და ის მამული, დღეს რომ გადმოდის ქართველ თავად-აზნაურობისაგან, იქნება პირველი ფონდი ქართულ ეროვნულ ქონებისა.

გამოქვეყნებულ დეკლარაციის ძალით ჩვენ ველით, რომ დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას ერობა, მოხდება სასამართლოს სრული რეორგანიზაცია მისი ნაციონალიზაციის სახით, შემოიღება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ველით აგრეთვე სკოლის ნაციონალიზაციას.

მაგრამ რომ ყველა აქ ხსენებულ საკითხებს რიგიანად გაუძღვეს ქართველი ერი, საჭიროა ეროვნულმა ყრილობამ აირჩიოს ორგანო, რომელიც დაიჭერს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს ადგილს და ერთის მხრივ გაუძღვება, უპატრონებს მიღებულ ქონებას, ხოლო მეორეს მხრივ ფხიზლად მოეპყრობა ყველა იმას, რასაც წარმოშობს დრო და გარემოება.

ეს ყრილობა ერთი არ იქნება. ამ ყრილობას უნდა მოჰყვეს საქართველოს დამფუძნებელი კრება. (ტაში).

საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს სახელით გაგზავნილი იყო ქ. პეტროგრადს მომხდარ დემოკრატიულ თათბირზე საგანგებო წარმომადგენელი, რომელიც თათბირს მიესალმა და რომელმაც გამოუცხადა მას ქართველ ერის გულისნადები.

საბჭოს შეგნებაში, ჩვენს ეროვნულ თვითგამორკვევის დაჩქარებაში დიდი როლი უძევს ქართველ ჯარის სარდალს სტეფანე ახმეტელაშვილს! (ტაში).

ამ ჯარის საქმეა დაცვა, რევოლუციის დროს მოპოვებულ თავისუფლებათა, დაცვა ერთა შორის სოლიდარობისა და სხვა.

ჩვენ გვაქვს ურთიერთობა და მიმოსვლა სხვა მეზობელ ერებთან. ჩვენ გავგზავნეთ წარმომადგენელი საბჭოსი აფხაზეთის სიეზდზე (ყრილობაზე) დასასწრებლად და მისასალმებლად, აგრეთვე სამაჰმადიანო საქართველოში. აფხაზეთის შესახებ ჩვენ ვუყავით და ვერთ ერის თვითგამორკვევის პრინციპის მოზიარენი და ეროვნულ საკითხს ისე გადავსწყვეტთ, როგორც ამას მოითხოვს მისი არსებითი ინტერესები. ასეთივე სიტყვები ვუთქვამ ჩვენს ძმებს მაჰმადიან ქართველებს. ჭირი და ვარამი მათ რომ გადიტანეს, აუტანელია და ნება მომეცით თქვენს მაგიერ და თქვენის სახელით მივესალმოთ: ვაშა აფხაზეთს, ვაშა აჭარას!

მოქალაქენო! ჩვენ უნდა შევუდგეთ ჩვენს წმინდა საქმეს. საჭიროა ამისთვის ვიქონიოთ მხედველობაში ჩვენი წარსული და აწინდელი სასიცოცხლო ინტერესები. იყო თქმული ხშირად, რომ ქართველი ერის ბედი რუსეთთან არის დაკავშირებული. ეს ნამდვილია, მაგრამ ქართველი ერის ბედ-იღბლის გამომჭედი არის მისი დემოკრატია (ტაში). ქართველ ერის სიწმინდით დაცვისათვის ბრძოლას, აქამდე სოციალურ ნიადაგზე რომ ვაწარმოებდით, დავუმატოთ ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლა. იწ განსვენებულმა ბეველმა სთქვა ვინ არის ერი? ვინ არის ნაცია? ჩვენ ვართ ნაცია, დემოკრატიაო და ჩვენც შეგვიძლიან ვსთქვათ თამამად რომ დემოკრატია არის სასიქადულო შემკვიდრე ერისა.

საქართველოს ეროვნულ ყრილობას ვაცხადებ გახსნილად.

## მილოცვა

სალამს უძღვნით პირველ ქართულ ეროვნულ ყრილობას და გწამს, რომ იგი მიიყვანს საქართველოს ამ აბობოქრებულ ზღვათა ღელვაში იმ წყნარ ნავთსაყუდარში, სადაც მშვიდობიან მუშაობაში კვლავ აღორძინდება ჩვენი სასიქადულო სამშობლო. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში.

თბილისის დეპოს ჯგუფის მონდობილობით ინჟენერი **ერ. ლუკაშვილი**

## დაღუპული რუსეთი

„მთავარსარდალი დუხონინი ხიშტებზე აცვეს... კორნილოვი გაიქცა... პრაპორშჩიკი კრილენკო ფრთებს ისხამს... ტროცკი და ლენინი თვითნებობენ... აშკარად ზავზე ხელს აწერენ, თუნდაც ამას მოკავშირენი არ ეთანხმებოდნენ... ფინანსები განადგურდა“. არა, ყოველი სიტყვა, ყოველი ამბავი მხოლოდ ადასტურებს გერმანელთა ისტორიკოსი მომზენის საშინელი წინასწარმეტყველების, რომ რუსეთი როგორც ხელოვნურად შეკოწიწებული სახელმწიფო, უნდა ხელის ერთი შემორტყმით დანგრეულიყო და... აგერ დაინგრა კიდეც: მისი ბედი სამუდამოდ გადაწყვეტილია. ანარქიის ცეცხლში გახვეული იგი თანაგრძნობას ვეღარ ჰპოვებს, როგორც თვისიანებში, ისე მოკავშირეთა შორის. უკიდურესად დავალიანებული დღეს მოკავშირეთა მიერ ზურგ შექცეულია. ამგვარად დატვირთული გემები უკან გააბრუნა, ინგლისი მუქარით მუშტს უღერებს, საფრანგეთი კიდევ თვისი უკანასკნელი სიტყვით და მოქმედებით ერთს რამეს ადასტურებს, სახელდობრ იმას, რომ რუსეთი მისთვის მხოლოდ საზარბაზნე ლეში იყო, მექანიკურად ამოძრავებული იარაღი, რომლის გამოყენება ჰსურდა გულში ჩამარხულ რევანშის მოსახდენად, გერმანეთისადმი შურის საძიებლად. და აი, როცა ბრძოლის ველზე რუსეთის მახვილი გარდატყდა, როდესაც რუსეთის მსოფლიოზე საუკეთესოდ ცნობილ ხიშტი საცოდავად გადაიგრიხა ტევტონთა ჯავშნიან ფარხმალზე, დღეს საყვედურის ხელთათმანს აგდებს იგი და ლათინთა ზვიადობით მთელს ბრალს ომის დაწყებისას და ბრძოლის წაგებისას სულ რუსეთს ახვევს თავზე.

რუსეთის დიპლომატიას არც ომის დაწყებისას და არც შემდეგში იმდენი უნარი არ შესწევდა, რომ სინამდვილისთვის თვალი გაესწორებინა. დესპოტიურს ნიადაგზე აღმოცენილი თავის თავზე დიდის წარმოდგენისა იყო, სჯეროდა, ვითომც მსოფლიო დიპლომატიის კონცერტში მაესტროობა თუ არა ერთგვარ პიონერობას მაინც სწევდა, როგორც ეს მოსდით აფრიკისა და აზიის პატარ-პატარა გამგებელთ „მეფეთა-მეფეთ“. სჯეროდა საკუთარ მოწოდების სიძლიერე მაშინაც კი, როდესაც მისი მოკავშირენი მას არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ და ყოველ საქმის, ჯარების გადაყვანა იყო, ახალ-ახალ მოკავშირის ჩარევა (ამერიკისა, მაგალითად) თუ სხვა რამ, ყოველთვის რუსეთის დაუკითხავად ჰხდებოდა და შორიდან თითის ქნევით ეუბნებოდნენ: სეპარატიულად არც ერთი ნაბიჯი არ გადასდგა, თუ გსურს რომ ჩვენს კავშირიდან არ ამოგშალოთო.

მაგრამ რუსეთმა თვისი თავი ისედაც ამოჰშალა მათს კავშირიდან. მისდა სავალალოდ მისი თვალის ახელა მხოლოდ დღეს ჰხდება რუს იაკობინელ ლენინ-ტროცკისა და ზინოვიევთა გამოსვლის შემდეგ, როცა სტიქიის წისქვილი უკვე უკულმა შემოტრიალდა და კანონიერი მიჯნები გადალახა იქ, სადაც ტლანქი დესპოტიზმი უამრავ ხალხთა მექანიკურად შემაერთებელ რგოლებს სჭედდა. ასე დამცირებული, ასე განადგურებული, სამოქალაქო ომის ქარიშხალში გახვეული, რუსეთი გარიყულია, მარტოდ მარტო.

იგი იმდენად დაუძლურდა, რომ ჩინეთი დღეს იმ როლს თამაშობს რუსეთისათვის, რასაც რუსეთი თამაშობდა ომამდე ჩინეთისათვის. ახლა დაურთეთ ისიც, რომ იაპონიამ ახალი კავშირი შეჰკრა ჩინეთთან, დიპლომატიურ გემებს უკან აბრუნებს, ჯარებს ჰსხავს ვლადივოსტოკში აუკეთესო პუნქტების დასაჭერად და მაშინ მიხვდებით იმ საშინელებას, რომლის მსგავსი შეიძლება ჯერაც ერთს ქვეყანას არ გადახდენოდეს თავზე. მძიმეა რუსეთის დღევანდელი ხვედრი. ძველმა დესპოტიზმმა იგი გადაიჩეხა უფსკრულის პირად, და თუნდაც იაპონიის მუქარას რეალური ახდენა არ მოჰყვეს, მის ხვედრს ეხლა ვეღარა რა ვერ გამოასწორებს. ტყუილად სჯერათ სოციალისტურ პარტიებსაც, ვითომ მოახერხებენ მსოფლიო რევოლუციის ცეცხლის დანთებას, რომ მის ალზე ცრემლის ყინვით დამრუჯი ხელები მოითბონ და ძველი არსებობის ნიშანწყალი აღიდგინონ: ეს იგივე ფატალური სლავიური ზვიადობაა, რამაც თავპირი დაამტვრევინა დესპოტიურ რუსეთს. ამ შემთხვევაში ევროპის სოციალისტებიც იგივე დასცინიან და აბიაბრუებენ მათ, როგორც რომელიმე გორემიკინთა კაბინეტებს.

შეიძლება ლენინს და ტროცკის დიქტატურობას და მათ მიერ ზავის ჩამოგდებას როგორმე ეშველნა რუსეთის, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მათი გამარჯვება, თუ კი გამარჯვება ეწოდება საკუთარ მკვლელზე რუსეთის გულის გაგმირვას, მეტად ნაგვიანებად მოხდა. უფრო ნამდვილი იქნება ვიფიქროთ, რომ ლენინ ტროცკის ზავი დასტური იქნება მოკავშირეებთან შეთანხმებით, რომ რუსეთი ვილჰელმს საახალწლო საშვილიშვილოდ დაუთმოთ ფორმალურ „უკონტრიბუციოდ და... უანექსიოდ!“

დ. კახრაძე.

## სასურსათო კომიტეტი და მაგარი სასმელების ბედი

თბილისის სასურსათო კომიტეტმა მაგარ სასმელებისთვისაც მოიცალა. ახალი დადგენილების თანახმად ღვინით ვაჭრობა 23 ადგილას მოეწყობა, ხოლო სპირტიან სასმელებს და კონიაკს ორს ბინას უჩენენ: ამხანაგობა „სარაჯიშვილთან“ და ამხანაგობა „არგოსთან“. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მეღვინეებმა ხელი უნდა აიღონ ან და შეაჩერონ ღვინით ვაჭრობა და აღნიშნულ 23 პუნქტს გადასცენ მთელი თავიანთი ნამაგდარი, ხოლო მაგარ სასმელების პატრონებმა სახელოვან ჰყონ ისეც სახელოვანი „სარაჯიშვილის“ ფირმა და საკმაოდ სახელგანთქმული „არგოს“ ამხანაგობა.

ჩვენ არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობდა სასურსათო კომიტეტი ასეთს დადგენილების დროს, რომ იგი უსამართლობაა, ამას კითხვა აღარ ეჭირვება. იმის გარდა, რომ ცხოვრებასთან მეტად შეუწონელია და შესაძლებელია წესიერების ნაცვლად უწესოება შეიტანოს ცხოვრებაში, იმავე დროს იგი მეტად ცალმხრივია და დიდად შეაფერხებს არა თუ წვრილ ვაჭრების წარმოებას, არამედ საზოგადოდ ვაჭრობა-მრეწველობის წესიერს, თავისუფალს განვითარებას. და ყოველივე ის, რაც ცხოვრებიდან არ გამომდინარეობს, ყოველთვის ნაძალადევი იქნება და ცალმხრივად დადგენილი, გაუქმებული, რისგანაც წარმატებას არ უნდა მოველოდეთ. და რომ ხსენებულ კომიტეტის დადგენილება არ გამომდინარეობს ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან, ამის მტკიცებას არავინ მოგვთხოვს, თუ კი ოდნავ, თუნდა ზერელედ გადაუვლია თვალი ვაჭრობა-მრეწველობის ამ დარგისთვის ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი ქვეყანა პურისა და ღვინის ქვეყანაა. ღვინით სცხოვრობს მთელი კახეთი. მევენახე წლითი წლობამდინ შეჰხარის ვენახს და აქედან მოელის თვის ხსნას. ბაზარი ღვინის გასასყიდად მისთვის თბილისში იყო გადაშლილი უმთავრესად. საპადნიერობით აქ ჩამოჰქონდათ, აქ მაზანდის აწევ-დაწევა ერთგვარ შეჯიბრებაზე იყო დამოკიდებული. პრიმიტიული სახისა იყო ეს შეჯიბრება, მაგრამ მაინც მთლად ვერ ჩაუვარდებოდნენ ამა თუ იმ, ვთქვათ, მოჩარჩე მეღვინეებს. დღეს კი სულ სხვა შეიცვლება. კახეთმა უნდა უყუროს 23 დაწესებულებას, რომელთაც შეუძლიათ მონოპოლიური უფლებებით ისარგებლონ და კახელი მევენახეები ცარიელ-ტარიელი ისე გაიტყუონ, რომ ვენახზე დახარჯულიც კი ვერ აინაზღაურონ.

თუ ეს ასე ითქმის ღვინოზე, მით უმეტეს, უნდა ითქვას მაგარ სასმლების შესახებ. ორ ფირმას აბედნიერებენ, მხოლოდ „სარაჯიშვილისა“ და „არგო“ შეჰქმნიან მონოპოლიას, სხვა ფირმებს კი სცემენ. ზოგს იქნებ წარმოდგენილი არც კი აქვს, რას ნიშნავს ამა თუ იმ ფირმის წარმოების არა თუ ხანგრძლივად, თუნდა ერთი დღით შეჩერება. ფირმა ერთსა და იმავე დროს კომერსანტის საქონელიც არის, მისი სიმდიდრეც და წმიდათა-წმიდაც. ფირმა რეალური ღირებულებაა კომერსანტისთვის თუ მრეწველისთვის. ამიტომ სცდილობენ მისი პრესტიჟის დაცვას, რადაც უნდა დაუჯდეთ იგი. ევროპაში ვისაც გადაუვლია თვალი ამ ნიადაგზე გაჩაღებულ საზღაპრო კონკურენციისთვის რამდენი ენერგია იხარჯება, მაშინ დაინახავდა, თუ რა სავალალო მდგომარეობაში უნდა ჩავარდნენ ჩვენებური წვრილი თუ საშუალო კომერსანტები, ვინც პრიმიტიული ძალღონით ასე თუ ისე მოიხვეჭეს ქონება, შეჰქმნეს ფირმა, მოეწყოთ ქარხანა, ააშენეს ფერი საწყობები. შეჩერება წარმოებისა გამოიწვევს მანქანების გაფუჭებას, საწყობების ხარჯი და შეკრული შემოსავლის ძირს დასცემს, დაღუპავს მთელი საქმის ინვენტარი. და განა დემოკრატიული მთავრობა სადმე ჰხურავს ქარხნებს? სად, რომელი სახელმწიფოა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის მფარველობისა და ქომაგობის ნაცვლად ხელს უწყობდეს დაშლა-განადგურებაში? რა დემოკრატიული პრინციპებით გაიმართლებს თავს სასურსათო კომიტეტი, როდესაც წვრილსა და საშუალო მრეწველობის ნაცვლად ხელს უწყობს მათს განადგურებას და ერთგვარ ამერიკულ ტრესტების შექმნას, რა თქმა უნდა, „ტრესტი“ ისეთივე მანიაკური მნიშვნელობით, როგორიც ჩვენი ქვეყანაა ამერიკასთან შედარებით.

თქმა არ უნდა, ამ წერილით ოდნავაც არა გვსურს რომელიმე ფირმის წინაღმდეგ ამხედრება: ჩვენთვის, როგორც უბრალო მოქალაქისთვის, საინტერესოა „სარაჯიშვილისაც“ და „არგოსი“ თუ სხვა ფირმების წარმატება, მაგრამ მათ რომ, თუნდა ისეთი საშუალო ფირმები ენაცვლონ, ვთქვათ, როგორიც ძმანი სესიაშვილები არიან, მაშინ ეს ვერაფერი საქმე იქნება. იმის გარდა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის სფეროს ამ ერთს დარგს შევხუთავთ, გამოვიწვევთ ათას უწესოებას. და მართლაც: განა სად უნდა წავიდნენ ამ დარგის კომერსანტნი? რა ჰქნან ამა თუ იმ შეჩერებულ ქარხნის პატრონმა? ანდა რა ჰქნან თვით ქარხნების მუშებმა? სად წავიდნენ? ან როგორ მოიქცნენ ის წვრილი მეღვინეები, რომელნიც მხოლოდ ამ ხელობით სცხოვრობდნენ? აშკარაა, მათგან ჩვენ ვერ შევქმნით მწერლებს, მეჩექმეებს თუ ზეინკლებს. უკეთესი დარჩენილთ ერთი გზა: ან დარჩებით: ბანდიტობა, ყაჩაღობა! ასე, რომ დემოკრატიული თვალსაზრისითაც სასურსათო კომიტეტის დადგენილება არაა მიზან-შეწონილი ცხოვრებაში გასატარებლად.

მაშ როგორ უნდა მოიქცეს ხსენებული კომიტეტი, თუ არა ჰსურს ამ დარგის ვაჭრობა-მრეწველობის შეჩერება, მაგრამ ისიც უნდა, რომ სასტიკ კონტროლ ქვეშ გაატაროს, წესიერება არ დაირღვეს? ამისათვის, ვგონებ, თვით კომერსანტებიც დაეხმარებიან: მთელ ქარხნებისა და ვაჭრობის შეჩერებას აჯობინებენ საკონტროლო გადასახადი თვითვე გაიღონ, კომიტეტი გაანთავისუფლონ ზედმეტ ხარჯებისაგან და თავიანთივე ხარჯით შეინახონ კონტროლთა საჭირო შტატი. ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი, რომ ვაჭრობა-მრეწველობა კვლავ თავისუფალს ნიადაგზე იდგეს და ერთგვარი მფარველობაც გაუწიოს მას, როგორც ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები. შეუძლიან მეორე ღონისძიებასაც მიმართოს: დაე, ყველა მრეწველთა წრიდან აირჩიონ კოლლეგია, რომელსაც თვითონ კომიტეტი დაამტკიცებს და აი, ამ კოლლეგიამ აწარმოოს ყველა საწყობებში თავ-თავიანთი ფირმის ვაჭრობა. რაც შეეხება მეღვინეებს, აქ უფრო ფართო მასშტაბში უნდა დასტოვონ ვაჭრობა, რა თქმა უნდა, შესაფერი კონტროლით...

ქართლელი.

## ამიერ-კავკასიის კომისარიატის მოწოდება კავკასიის ფრონტის ჯარებისადმი.

ამხანაგებო! პეტროგრადში მოხდარმა აჯანყებამ გაიმარჯვა დროებით მთავრობაზე და სახალხო კომისრების მთავრობა შეჰქმნა. ფაქტიურად რუსეთის სახელმწიფო უმართავად დარჩა. სახალხო კომისრების საბჭო განსაკუთრებით ბოლშევიკების წარმომადგენელთაგან შედგება. მეთაურად მას ლენინი და ტროცკი უდგანან. რუსეთი მათ მთავრობას არ სცნობს. არც თუ უცხო სახელმწიფოებმა იცნეს მათი მთავრობა.

ცენტრალურ მთავრობის უქონლობამ ცნობების შეწყვეტამ მძიმე გავლენა დაჩნია განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის მხარეს. შიმშილი და შველა იწოვენ კავკასიის მცხოვრებნი და ლაშქარი. მათ სურთ თავიდან აიცილონ ფინანსიური განადგურება, ცარცვა გლეჯა და ანარქია. აი ამ სურვილმა უკარნახა დემოკრატიასა და ამიერ კავკასიის ერთა სხვა და სხვა ორგანოებს მთავრობის თავიანთი ხელში აღება. ამ მიზნით შესდგა ამიერ კავკასიის კომისარიატი. რომელშიაც შედიან ამიერ კავკასიის ერთა და რევოლუციურ პარტიების წარმომადგენლები.

იგი პასუხისმგებელია ცენტრალურ რევოლუციურ ორგანოების წინაშე. ეს მთავრობა, კომისარიატი, შედგენილია დროებით, დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ანდა ვიდრე რუსეთის რესპუბლიკაში ისეთი ცენტრალური მთავრობა დაარსდება, რომელსაც ყველანი მიიღებენ.

ამხანაგებო! ამიერ კავკასიის კომისარიატი მუდამ კავშირს იქონიებს საერთოდ რუსეთთან და ისე იმოქმედებს, იგი გამოხატავს ხალხისა და მასსის ნდობას. კომისარიატს სწამს, რომ რევოლუციური ჯარები ყურს არ მიაპყრობენ რევოლუციისა და ხალხის უფლებათა შეგნებულ თუ შეუგნებელ მტრების მიერ გავრცელებულ პროვოკაციას და მხარს დაუჭერენ კომისარიატს. ამით ისინი დაეხმარებიან წესიერების დაცვაში და ამიერ კავკასიას ფინანსიურ განადგურებიდან იხსნიან.

გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ თქვენს შეგნებაზეა დამყარებული ბედი ჩვენი დიდი რევოლუციისა და მთელ სამშობლოსი.

**ამიერ კავკასიის კომისარიატი.**

# ომი და ზავი

## დეპეშები

### აღმოსავლეთის ფრონტი.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**სტოკჰოლმი.** გიორგობ. 15. ენნამ დიკლანში მტრის ახალმა იერიშმა უნაყოფოდ ჩაიარა. იერიშები მოიტანეს ბურლონის ტყის ჩრდილო-აღმოსავლეთით. დანარჩენ ფრონტზე არსებითი არა მომხდარა-რა.

### დასავლეთის ფრონტი

**ინგლისის ფრონტზე**

**სტოკჰოლმი.** გიორგ. 21. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი გიორგობისთვის 21-ს თარიღით იუწყება: გუშინ გერმანელებმა 15 იერიში მოიტანეს სოფელ ლია-რაკერთან. მტერმა შესძლო სოფელში შემოჭრა. კონტრ-იერიშით მოვიგერიეთ. დილის 5 საათზე ჩვენ ბრძოლის ხაზი გონელიემდე წავწიეთ. შუადღის შემდეგ უკან დავიხიეთ მონიერში ასპარეზის გასამაგრებლად. ტყვედ ვიგდეთ 500 გერმანელი ჯარისკაცი. წამოვიღეთ 15 ტყვიისმფრქვეველი. ღამის 1 საათზე პამანჟელში ჩვენ იერიშები გავაძლიერეთ, შევიჭერით მტრის ხაზზე. მტერს ჩვენმა ჯარმა გეზენკური დააცლევინა. ავიღეთ სოფელი გონნელიე. ხელთ ვიგდეთ 300 ტყვე და 4 ტყვიისმფრქვეველი. მანიერთან მტერმა დიდი ზარალი ნახა. ჩვენებმა ცხენკალომეტრით წაიწია წინ.

### იტალიის ფრონტი

**რომი.** გიორგობისთვის 15. გერმანელები ცდილობენ ტრევიზის ღელეში გასვლას. აქედან მათ სურთ ვენეციას განუმზადონ საფრთხე, მაგრამ ამაოდ. შოვესა და ბრენტოის შუა და ასიაგოს ზეგანზე გერმანელებმა სიმაგრეები დაანგრიეს. სცდილობენ მდინარესაკენ დაეშვნენ. ასიაგოს ზეგანზე გენერალ კონრად ფონ-გეცენდორფს იერიშები მოაქვს იტალიელთა ასპარეზებზე. მონტე-მელლეტასთან იერიშში 55 დე ბატალიონი მონაწილეობდა.

# ზავის გარშემო

## ზავი გერმანეთთან

### დელეგაცია დვინსკში

**პეტროგრადი.** გიორგობისთვის 21. გიორგობისთვის 19 ს 11 საათზე დროებით ზავის ჩამოსაგდებლად არჩეული დელეგაცია მივიდა დვინსკში. დელეგატები მიიწვიეს მეხუთე ლაშქრის ყრილობაზე. კამენევის, სოკოლნიკოვის, ვიცენკოს და მასტისლავსკის სიტყვას დიდის აღტაცებით შეხვდნენ. 14 საათზე დელეგატები გავიდნენ ჩრდილო დასავლეთის რკინის გზიდან 514 ვერსით და 17 საათზე მათ ნეიტრალ ხაზზე შეეგებნენ გერმანელების დელეგატები.

### დელეგატების გაგზავნა

**პეტროგრადი.** გიორგ. 19. დროებითი ზავზე მოსალაპარაკებლად ფრონტზე გუშინ გაემგზავრა საგანგებო დელეგაცია, რომელშიაც შედიან: კამენევი, სოკოლნიკოვი, ვიცენკო, მსტისლავსკი, სტაშკოვი, აგრეთვე მეზღვაურთა, ჯარისკაცთა და მუშათა წარმომადგენლები, მთავარ შტაბის პოლკოვნიკები შიშკინი და სტანისლავსკი. მდივნად კარახანი.

### შეიდემანის განცხადება

**პეტროგრადი.** გიორგობისთვის 21. დრეზდენში სოციალ დემოკრატების ლიდერმა შეიდემანმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა, მთელი ქვეყნის ყურადღება დღეს რუსეთზეა მიქცეულიო. შეიდემანმა განაცხადა მშრომელი კლასების გამარჯვება დამოკიდებულია რუსეთში ზავისადმი მიდრეკილების გაძლიერებაზე, ამიტომ გერმანეთი უნდა ეცადოს ისეთი ზავი ჩამოაგდოს, რომ არც ერთი ერი არ დაიჩაგროსო. მიღებული რეზოლუცია მოითხოვს რაიხსტაგმა ისეთი საზავო პირობები შეიმუშაოს, რომელიც არ იცნობს სამეურნეო, ფინანსიურ და პოლიტიკურ ანექსიებს.

### შვედელ ელჩის განცხადება

გიორგობისთვის 15-ის „რანნე უტრო“ გადმოგვცემს: შვედელთა ელჩი ჩვენს კორესპონდენტისათვის უთქვამს ხმები, ვითომც გერმანეთი მზად იყოს საზავო მოლაპარაკების დასაწყობად— სინამდვილეს მოკლებულიო.

### კლემანსოს აზრი.

**პეტროგრადი.** გიორგობისთვის 19. „ვენ აბენდპოსტ“-ს ცნობით კლემანსოს უთქვამს: ბოლშევიკებმა მოიხსნეს ნიღაბი და ყველას ნამდვილ სახით წარუდგნენ. მათ გერმანულ ზავის ჩამოგდება სურთ. სასიხარულოა, რომ ყალბი პაციფიზმი უკვე ამხილდა. გერმანეთი მოისურვებს გერმანულ ზავის შეკვრას ვიდრე ამერიკელი ჯარი მოვიდოდეს. მოკავშირეთა სამხედრო მიზანი უნდა იყოს: გარკვეულ ფრონტის შენახვა, შემზადება შეტევისთვის და შეტევა ამერიკელ ჯარების ჩამოსვლისთანავე.

### გერმანული პრესა.

**კოპენჰაგენი.** გიორგობისთვის 15. „ფორვერტს“-ი სწერს: გერმანეთის მთავრობა მოლაპარაკებას გამართავს პეტროგრადთან, თუ ბოლშევიკები მიიღებენ გერმანეთის მიერ წამოყენებულ პირობებს დროებით ზავის ჩამოსაგდებად. ამ პირობებს, იგივე როგორც ზავის პირობებს, უფროსი სამხედრო მოხელენი განიხილავენ.

## ზავი ოსმალეთთან

### ამიერ-კავკასიის კომისარიატისაგან

**12 ლაშქარსა და მცხოვრებთადმი.**

კავკასიის ლაშქრის მთავარსარდალმა დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ წინადადება მიიღო ოსმალთა ლაშქრის მთავარსარდლისაგან. ამიერ კავკასიის კომისარიატმა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრთან და კავკასიის ფრონტის მთავარსარდალთან შეთანხმებით გადასწყვიტა მიიღოს ეს წინადადება და შეუდგეს მოლაპარაკებას დროებითი ზავის შესახებ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა იკისრა ამ მძიმე საკითხის გადაწყვეტა, რადგან დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური მთავრობა, ხოლო სამოქალაქო ომმა მთავარბანაკი გამოგვიტაცა ჩვენ, რომლითაც კავკასიის ცენტრების დავალებით ხელთ ავიღეთ ძალაუფლება,—დავსდევით პირობა, რომ კავკასიის ჯარი არც ერთ მეტ წუთსაც კი არ იომებს და ყოველთვის დაიცავს რუსეთის ფრონტის მთლიანობას. ეს ჩვენი პასუხი ემცნო ოსმალეთის მთავარსარდალს და ინგლისელთა მესოპოტამიის არმიას.

ჩვენს სიდინჯესა და შეკავშირებაზეა დამოკიდებული რევოლუცია, სამშობლოისა და მომავალ თაობათა ბედი.

დროებით ზავის შემდეგ შეიკრიბება დამფუძნებელი კრება, რომელიც საზავო პირობებს შეიმუშავებს. პირობები დემოკრატიული იქნება. იგი წარედგინება ყველა მებრძოლთ. ომმა წარმოშვა რევოლუცია. დიდი რევოლუცია ბოლოს მოუღებს ომს.

ამხანაგებო, ჯარისკაცნო და ოფიცრებო! ერთი ნაბიჯი ღა დარჩა. ვაჟკაცურად და მედგრად დაიცავით თქვენი პოზიციები, რადგან ფრონტის აშლა მოლაპარაკების შესაძლებლობას მოსპობს.

ამიერ კავკასიის მოქალაქენო! თქვენ უნდა ეცადოთ, რომ დროებითი ზავის დროს ფრონტს ჰქონდეს ყველაფერი, რაც მისთვის საჭიროა. მედგრად მუშაობა აქ! ახალ ცხოვრებისაკენ, რომლის განთიადი უკვე დაგვდგა.

ხელს აწერენ ამიერ კავკასიის კომისარიატის ყველა წევრები.

### პრჟევალსკის პასუხი ოსმალეთის ლაშქრის უფროსისადმი

გთხოვთ პარლამენტიორის პირით გადასცეთ ოსმალეთის მე-3 ლაშქრის უფროსს, ფერიკ-ვეხიბ ფაშას, ჩემი პასუხი მის წერილზე: თქვენი წერილი, ბ-ნო გენერალო, რომელშიაც დროებითი ზავის წინადადებას იძლევით, მივიღე და ვჩქარობ გაუწყოთ, რომ მე მზად ვარ მივიღო თქვენი ჰუმანური წინადადება. ამ მიზნით წინადადებას ვაძლევ ჩვენს ორთავე ლაშქრის, რომელნიც ერთმანეთის წინაშე იბრძვიან კავკასიის ფრონტზე, შეწყვიტონ საომარი მოქმედებანი, არავითარი სტრატეგიული გადაჯგუფება არ მოახდინონ, იმავე პოზიციებზე დარჩნენ, რომელნიც ახლა უკავიათ და მოუცადონ დროებითი ზავის ჩამოგდებას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ თანახმა ხართ ამ პირობებზე წინადადებას გაძლევთ, თქვენგან პასუხის მიღებისთანავე, მოვიწვიოთ

ოსმალეთისა და რუსეთის ლაშქრის წარმომადგენლებისაგან საგანგებო კომისია, რომ ... დაწვრილებით შეიმუშავებს დროებითი ზავის პირობებს. ჩვენი მიწერ-მოწერის შესახებ მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს ვაცნობო ინგლისის ლაშქრის უფროსს მესოპოტამიაში. დარწმუნებული ვყავართ, გენერალო, ღრმა პატივისცემით რომელიც თქვენდამი ვგრძნობ.

კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარ-სარდალი გენერალი **პრჟევალსკი**.

კავკასიის ფრონტის ჯ. შტაბის უფროსი გენ.-მაიორი **ლებედინსკი**.

## დეპეშა მესოპოტამიის ჯარის მთავარ-სარდლისადმი.

გიორგობისთვის 17 მე მივიღე კავკასიის ფრონტის ოსმალთა ჯარის სარდლის ფერიკ-ვეხიბ-ფაშის საზავო წინადადება. მივიღე-რა მხედველობაში საერთო პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთისა და ის, რომ ავსტრია-გერმანიის ფრონტზე უკვე შეუდგნენ მოლაპარაკებას, მე, ამიერ-კავკასიის დროებით მთავრობასთან შეთანხმებით, დროულად ვსცანი ოსმალეთის სარდლის წინადადების მიღება და წინადადება მივეცი შესწყვიტონ საომარი მოქმედებანი მთელ კავკასიის ფრონტზე, იმ პირობით, რომ არავითარი სტრატეგიული გადაჯგუფება არ მოახდინონ, რასაც შეეძლია ზიანი მიაყენოს ინგლისის ლაშქარს; დარჩნენ მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე და მოუცადონ საზავო მოლაპარაკების დასრულებას და მისი პირობების გამორკვევას. მიიღე რა ეს გადაწყვეტილება, საზავო მოლაპარაკების უთუო პირობად დავისახე დავიცვა თქვენი ბრწყინვალე ლაშქრის ინტერესები და ყოველი ზომა ვიხმარო, რათა კავკასიის ფრონტზე მდგომი ოსმალეთის ჯარი არ გაძლიერონ თქვენს წინაამდეგ მიმართული.

**პრჟევალსკი.**
**ლებედინსკი.**

# ბოლშევიკების დიქტატურა

## გენერალ დუხონინის მოკვლა

პრაპორჩიკი კრილენკო მოწოდებით მიმართავს რევოლუციურ ლაშქარსა და ფლოტს.

ამხანაგებო! დღეს (რიცხვი არ არის ნაჩვენები) შევედ მოგილევში. ვწინამძღვრობ რევოლუციურ ლაშქარს. ბანაკი უბრძოლველად დაგვნებდა. მაგრამ არ შემეძლია მომხდარ სამწუხარო ამბავზე ხმა არ ამოვიღო. უმაღლესი მთავარსარდალი დუხონინი მსხვერპლი გახდა თვითგასამართლებისა, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდით გადარჩენას, იგი სადგურ მოგილევზე დაინახეს და მოჰკლეს. ბანაკის დამხობის წინა დღეს გენერალი კორნილოვი გაიქცა. მისი გაქცევა ექსცესის მიზანი იყო.

ამხანაგებო! რევოლუციის დროშაზე ლაქებს ვერ მოვითმენთ. მრისხანე გასამართლება ასეთ ფაქტებს. იყავით ღირსნი თავისუფლებისა, ნურავის ნუ მოსცხებთ მას; ნურავის ნუ მოსცხებს ერის მთავრობას. ამხანაგებო! ბანაკის დამხობით ახალი ძალა ემატება საზავო ბრძოლას.

გაუმარჯოს მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს. უმაღლესი მთავარ სარდალი კრილენკო.

## პეტროგრადში

### კორნილოვის გაქცევა

**პეტროგრადი** გიორგობ. 21. ღამე ბიხოვიდან გაიქცა გენ. კორნილოვი. მას თან გაჰყვა 400 ტეკინელთა პოლკის ჯარის კაცი. ცნობილია, რომ კორნილოვი, შაბლოვსკის ორდერით განთავისუფლდა.

### მუშათა კონტროლის დაწესება

**პეტროგრადი.** გიორგ. 21. შრომის სახალხო კომისარმა წინადადება მისცა მუშებს დაუყოვნებლივ გაგზავნონ დელეგატები მუშათა კონტროლის საბჭოში.

### ბოლშევიკი სტუდენტები

**პეტროგრადი.** გიორგობ. 18. ბოლშევიკმა სტუდენტებმა დაადგინეს, მოითხოვონ სახელმწიფო დაწესებულებებში გაფიცულ მოსამსახურეთა მაგივრად ისინი დანიშნონ.

### მინისტრების გაგზავნა კრონშტადტში

**პეტროგრადი.** გიორგ. 19. სამხედრო სარევოლუციო კომიტეტი აცხადებს, რომ თუმცა არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს ყოფილ მინისტრების განცხადებას, რომელიც ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა, მაგრამ უწევს ანგარიშს პეტროგრადის მუშების და ჯარის სამართლიან მოთხოვნილებას და უთანხმოების თავიდან აცილებლად, კომიტეტმა დაადგინა ყველა ის მინისტრები, რომელთაც ხელი მოაწერეს ცნობილ მოწოდებას, საიმედო ყარაულით კრონშტადტში გაგზავნოს, სადაც დესპოტთა საბჭოს მეთვალყურეობის ქვეშ იქნებიან. კრონშტადტში გადაყვანილნი არიან: პროკოპოვიჩი, ნიკიტინი, გვოზდევი, ლივეროვსკი, მასლოვი, ბერნაცკი, ნეკრასოვი, გოლუბკოვი, კრონოვი და სხ.

### ქალაქის ახალი არჩევნები

**პეტროგრადი.** გიორგობ. 19. მოკლე ხანში მოხდება ცენტრალ ქალაქის საბჭოს ახალი არჩევნები. მონაწილეობას მიიღებენ ყველა 18 წლიანები.

### ბოლშევიკურ მთავრობის კონსტრუქცია

**პეტროგრადი.** გიორგობ. 19. სახალხო კომისართა საბჭოს ყველა კოლეგიებში მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებს თავისი წარმომადგენლები შეჰყავთ. მიწადმოქმედების კოლეგიაში სულ ბოლშევიკები შედიან. პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო დებულება საბჭოს პასუხისმგებლობის შესახებ ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე. საკანონმდებლო აქტები და დიდი სახელმწიფო-საზოგადოებრივ მნიშვნელობის განკარგულებანი დასამტკიცებლად წინასწარ ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს უნდა გადაეცეს. კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლის საშუალებანი მხოლოდ ცენტრალ კომიტეტის წინაშე პირდაპირი პასუხისმგებლობის ქვეშ უნდა გამოსცეს. ყოველმა კომისარმა კვირაში ერთხელ თავის მოქმედების ანგარიში უნდა ჩააბაროს ცენტრალ კომიტეტს. განმარტება ცენტრალ კომისარის შეკითხვაზე დაუყოვნებლივ უნდა მისცეს. შეკითხვას ხელი უნდა აწეროს ცენტრალ კომიტეტის არა ნაკლებ 15 წევრისა.

### კომისრების საბჭო და დამფუძნებელი კრება

სახალხო კომისრების საბჭოს შეუმუშავებია დამფუძნებელ კრების პირველ სხდომის წესი. დამფუძნებელ კრებას გახსნის ლენინი. იგი შეიტანს მათ მიერ გამოქვეყნებულ ყველა დეკრეტებს ამასთან ერთად ანგარიშებ წარადგენენ დროებით მთავრობის ამ ჟამად განთავისუფლებული მინისტრები.

### სამინისტროებში

**პეტროგრადი.** გიორგ. 18. სამინისტროებში მუშაობა თანდათან ჩადგება. წესიერი მუშაობაა უკვე შრომის, სახელმწიფოებრივ მოწყველობის სამინისტროებში და სახელმწიფო ბანკის ზოგიერთს განყოფილებებში. ამ დღეებში მუშაობა დაიწყობა საგარეო საქმეთა და ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროებში. ამსახურებენ ზოგიერთა ძველი მოსამსახურენიც. წესიერი მუშაობაა აგრეთვე საზღვაო სამინისტროში. მუშაობენ სამხედრო სამინისტროს ზოგიერთა განყოფილებანიც. დაბალი მოსამსახურენი მხარს საბჭოთა მთავრობას უჭერენ.

## მოსკოვში

### ფული ჯარისკაცთა ცოლშვილისათვის

სახელმწიფო ბანკის მოსკოვის განყოფილებას სამხედრო სარევოლუციო კომიტეტმა 3 მილიონი მანეთი მოსთხოვა ჯარის კაცთა ცოლებისთვის დასარიგებლად.

### ქარხნების „სოციალიზაცია“

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა დაამტკიცა პენზენის ქარხნის მუშათა დადგენილება, რომ ხსენებული ამრეწველო მუშათა საქარხნო კომიტეტს გადაეცეს. ხარკოვის გუბერნიის ერთ სამაზრო ქალაქში ამის მაგალითით გლეხებს ძალით ხელში ჩაუგდიათ შაქრის ქარხანა, ხოლო ქარხნის პატრონი და ადმინისტრაცია გაუდევნიათ.

## პროვინციაში

### ცარიცინში

ცარიცინის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კომიტეტმა აცნობა მოსკოვის დამცველ კომიტეტს ტელეგრაფი ბოლშევიკებმა დაიჭირეს და კორესპონდენციებზე კონტროლი შემოიღეს. ფოსტ-ტელეგრაფის მოსამსახურეთ უარი განაცხადეს მუშაობაზე. ერთი მათგანი მოჰკლეს, დანარჩენები შეიპყრეს. კომიტეტი მოითხოვს დატყვევებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და სამარცხვინო კონტროლის მოსპობას.

## დამფუძნებელ კრების არჩევნები

### არჩევნების შედეგი

**პეტროგრადი.** გიორგ. 19. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 928364 კაცმა. ბოლშევიკებმა გაიყვანეს 6 კანდიდატი: ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, კამენევი, კოლონტაი და ჯუღაშვილი (სტალინი). კადეტებმა გაიყვანეს 4 კანდიდატი: მილიუკოვი, ვინავერი, კუტლერი და როდიჩევი. სოციალისტ რევოლუციონერებმა გაიყვანეს 2 კანდიდატი: ჩერნოვი და კამკოვი. სხვა სიებიდან არც ერთი კანდიდატი არ გასულა.

### კრასნოიარსკში

**პეტროგრადი.** გიორგობისთვის 15 კრასნოიარსკში პირველობა ხვდათ ბოლშევიკებს, შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონერები მისდევენ, მესამე ადგილი კადეტებმა დაიჭირეს, მეოთხე მენშევიკებმა.

## უკანასკნელი დეპეშები

**ვიდრე დუხონინს მოჰკლავდენ, იგი სამხედრო სარევოლუციო კომიტეტს დაუტუსაღებია, თუმცა მიუჩნევია, რომ დუხონინის მოქმედება მოგილევის დეპუტატთა საბჭოს დადგენილებების განხორციელება იყო. კომიტეტი წინააღმდეგი ყოფილა დუხონინის წასვლისა, რადგანაც ეშინოდა მესამე მთავარი ბანაკის შედგენისა.**

—

**კორნილოვთან ერთად გაქცეულან გენ. დენიკინი, მარკოვი, არლოვი, კორნილოვის საქმის გამომძიებელი კომისია, მისი თავმჯდომარე შაბლოვსკი და სხვები.**

გაზეთ „საქართველო“-ს რედაქცია და კონტორა ახალ ბინაზე გადავიდა სასახლეს ქუჩა, № 5, თავადაზნაურობის სახლი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტთან. ტელეფონი იგივეა 15—73.

# ქრონიკა

### თბილისი

◆ **ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ** ევგ. გეგეჭკორმა ყუბანის დროებითი, თერგის ოლქის ყაზახებისა და ჩრდილო კავკასიის გაერთიანებულ დროებითი მთავრობების თავმჯდომარეებს დეპეშით სთხოვა გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ტფილისს, გიორგობისთვის 27-ისათვის ერთგვარი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

◆ **ამიერ-კავკასიის საოლქო სადგილ-მამულო კომიტეტი.** ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიწადმოქმედების უწყებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 27 მარტს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტთან დაარსებული სადგილ-მამულო კომისია გადაკეთდეს ამიერ-კავკასიის საოლქო სადგილ მამულო კომიტეტად. ორგანიზაცია, საქმეების გადაწყვეტის წესები და უფლებანი ამ კომიტეტისა დროებით, სანამ რუსეთის მთავარ კომიტეტს ასე თუ ისე შეუთანხმებდეს თავის მოქმედებას და ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს შეუთავსებდეს მის მოქმედებას, ძალაში დარჩება იმ სახით, როგორც ეს აღნიშნულია ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მკათათვის 21 დადგენილებაში შესახებ საოლქო და ადგილობრივ სადგილ-მამულო კომიტეტების მოწყობისა.

◆ **საბუღალტერო კურსები.** გიორგობისთვის 25-დან თბილისში იხსნება ახალი საბუღალტრო კურსები. კურსი სწავლებისა 3—4 თვე. ჩაწერა შეიძლება დუშეთის ქუჩაზე, სახ. № 9.

◆ **მხედართა კავშირის კრება.** გიორგობისთვის 26 ქართულ კლუბის შენობაში დანიშნულია ქართველ მხედართა კავშირის სასანიტარო სექციის სხდომა.

◆ **ახალი კოოპერატივი.** ტფილისის სასტუმროების, მართულ ოთახების და რესტორანების ერთ ერთ დამხმარე საზოგადოებამ, მარიამობისთვის 30-ს კრებაზე დაადგინა, გახსნას თავის წევრთათვის კოოპერატივი. ეს დადგენილება დღევანდლამდე უყურადღებოდ იყო დარჩენილი. ეხლა გამგეობის წევრმა ალ. გრ. ზაქარიძემ გამგეობას აღუთქვა ერთდროულად ათასი თუმანი თუ კოოპერატივი გაიხსნება. გამგეობამ დაადგინა აირჩიოს კომისია ალ. ზაქარიძის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალება დაუყოვნებლივ გახსნას კოოპერატივი. გამგეობამ შეიძინა ჩრდილოეთ კავკასიაში რვა ვაგონი კარტოფილი თავის წევრთა შორის გასანაწილებლად. იქიდან გამოტანის და თბილისში მოტანის ნებართვა უკვე მიიღეს. გამგეობამ ჩრდილო კავკასიაში გაგზავნა წევრი რ. ბ. იოსელიანი. კარტოფილს ამ თვის დამლევამდე მიიღებენ.

◆ **სურსათი.** საგუბერნიო სასურსათო გამგეობას მოუვიდა გიორგობისთვის 21-ს ფქვილი 1 ვაგ. და კარტოფილი 3 ვაგონი. გიორგობისთვის 22-ს სრულებით არაფერი მიუღია.

◆ **ღვინის შემოტანა.** რკინის გზით თბილისსა და თბილისის გუბერნიაში შეიძლება მხოლოდ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ნებართვით. შემოტანა ღვინის შარა გზით სავსებით აკრძალულია.

◆ **მეთანბაქოების ყრილობა.** გიორგობისთვის 26 დილის 11 საათზე „უდელნი“ ქუჩაზე, მე-6 გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ამიერ კავკასიის მეთუთუნეთა კავშირის ყრილობა. ყველა მეთუთუნეთა კავშირებს სთხოვენ: დაუყოვნებლივ გამოგზავნონ დელეგატები, თითო, ან ორ-ორი. ჩამოსულ დელეგატებს ყოველგვარ ცნობების მიღება შეუძლიათ კანტორა „განათლებაში“, ოლღას ქუჩა № 6.

◆ **ბოროტ-მოქმედების გახშირება.** იმ გარემოებით, რომ ქალაქი ცუდად ნათდება, ბოროტ-მომქმედნი სარგებლობენ და გათამამდნენ. მათ, სხვათა შორის, ისიც უწყობს ხელს, რომ ძალიან ხშირად მეეზოვეები თავის ადგილზე არა დგანან. ამ დღეებში სასტუმრო „ევროპის“ პატრონთან ალ. ზაქარიძესთან მისულან ოფიცრებად გამოწყობილი შეიარაღებული უცნობნი გასაცარცვავად, მხოლოდ შემთხვევით გადარჩა იგი გაძარცვას.

### ქუთაისი

◆ **დიდი სააქციონერო საზოგად. დაარსება.** იხსნება ახალი სააქციონერო საზოგადოება 400.000 მანეთის თანხით, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია სამინისტროს მიერ. ამ სააქციონერო საზოგადოებას ერქმევა „ამიერ-კავკასიის სააქციონერო საზოგადოება აფთიაქის საქონლის ვაჭრობისა“. დამაარსებელი ამ საზოგადოების არიან პროვიზორები: ლევან პეტრეს ძე კოკოჩაშვილი, ალ. ივ. ალხაზაშვილი და დ. ვ. ვას გლუშაკოვი. აქციები თითქმის უკვე სულ გაიყიდა. თითო აქცია 100 მანეთი ღირს. ამ საზოგადოებას განზრახვა აქვს საკუთარი ქიმიური ლაბორატორია მოაწყოს და გახსნას სხვა და სხვა წამლებისა და კოსმეტიკის საგნების ქარხანა.

### ზუგდიდი

◆ **ცარცვა გლეჯა.** ზუგდიდსა და ოჩემჩირეს შუა ნამეტნავად გახშირდა. 3 დღის განმავლობაში გაცარცვეს: 2 სამხედრო მოხელე, 4 დილიჟანი, 2 ურემი და 1 ავტომობილი. მცარცველებს, როგორც ეტყობა, მტკიცე ორგანიზაცია აქვთ მოწყობილი.

### ლანჩხუთი

◆ **მოწაფეთა გაფიცვა.** ქალ. ლანჩხუთში უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის მოწაფეები გაფიცენ და სასწავლებელში აღარ დადიან, რადგანაც მათ დაუნიშნეს ისეთი მასწავლებელი, რომელიც არა-სასურველად მიაჩნიათ. ამ საქმის მოსაგვარებლად ქუთაისიდან ჩამოვიდა გუბერნიის სამოსწავლო ნაწილის კომისარი ნ. მგელაძე.

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 257-ში მოთავსებულ საქართვ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგადოების წლიურ ანგარიშში დაბეჭდილია: „საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი წლის დამლევს 22339“, უნდა იყოს: „წლის დამლევს 2339; დაბეჭდილია: „არა-ქართულნი 6570“, უნდა იყოს „არა-ქართულნი 6571“.

## თერგის ოლქის მთავრობა

თერგის ოლქში მთავრობის შესაქმნელ და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თაოსნობით შედგა საგანგებო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენელნი: ყაზახთა ჯარის მთავრობისა, მთიელთა ცენტრალ კომიტეტისა, დეპუტატთა საოლქო საბჭოსი და ფოსტა-ტელეგრაფის კავშირისა. თავმჯდომარემ კარაულოვმა თათბირს წინადადებით მიმართა აერჩია კომისრები მართვა-გამგეობის ყველა დარგებისათვის. მცირე კამათის შემდეგ აირჩიეს შრომის კომისრად ბუჩიძე, მიწად მოქმედების—მამიკონოვი, ფინანსების—ჯაბაღიევი, სამხედრო—ჩერმოევი, ფოსტა-ტელეგრაფის—პოპოვი, ვაჭრობა-მრეწველობის—კოზმინი, თვითმართველობის—ვრიტენ, წესიერების—ყარაულოვი, გზათა მიმოსვლის და სურსათის—დუდაროვი.

თათბირის დადგენილებით ორგანიზაციებმა უნდა მსჯელობა იქონიონ ამ საკითხზე და თავისი აზრი აღმასრულებელ კომიტეტს წარუდგინონ.

## რევოლუცია ფინლიანდიაში

დღეს ფინლიანდიაში ისეთივე ამბავი დატრიალდა, რაც რუსეთშია. კლასებს შორის დამოკიდებულება უკიდურესად გამწვავდა. განხეთქილება ბურჟუაზიისა და სოციალდემოკრატების შორის იმით დაიწყო, რომ რევოლუციის პირველ დღეებში პირველთა აღიარეს დროებითი მთავრობის უფლება ფინლიანდიაზე, ხოლო სოციალდემოკრატები მოითხოვდენ უზენაეს ძალა უფლების მატარებლად სეიმი დაესახათ და რუსეთს გამოჰყოფოდენ. სოციალდემოკრატებს ბევრი ბურჟუაზიული წრეებიდანაც მოემხრნენ. მოითხოვდნენ სეიმის ახალი არჩევნების დანიშვნას. რუსული ორიენტაციის ძველი ფინომანების დიდი ნაწილიც რუსეთიდან გამოყოფას მოითხოვდა. ამ მოთხოვნას თავისი ისტორიული საბუთი აქვს. 1772 წლის ხელშეკრულების ძალით „რუსეთის იმპერატორის, ფინლიანდიის დიდი მთავრის ძალა-უფლების მოსპობის შემდეგ უზენაესი მმართველობა ფინლიანდიის ხელში უნდა გადავიდეს.

თუ რევოლუციის პირველ 6 თვეში კიდევ მოიპოვებოდა ფართე მასსაში სეპარაციის მოწინააღმდეგე, ღვინობისთვეში რუსის ბოლშევიკების გამოსვლის შემდეგ თითქმის აღარავინ დარჩომილა ასეთი. გამოყოფის იდეამ გაიმარჯვა, ვინაიდგან, თვით ცხოვრებამ გახადა ეს აუცილებელი. ამის შემდეგ მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლებოდა და ყოველ დღეს ახალი ამბავი მოჰქონდა ფინლიანდიიდან. ღვინობისთვის 27 სეიმმა მმართველობა სამი კაცისაგან შემდგარ დირექტორიის გადასცა. მეორე დღეს კი მთავრობის შესაქმნელად 2 კომბინაციაზე მსჯელობდენ: ერთნი საჭიროდ სცნობდენ კოალიციურ პრინციპის დაცვას, მეორენი კი—სამი ბურჟუაზიულ პარტიის წარმომადგენლების შესვლას დირექტორიაში. სოციალ-დემოკრატები კი ყოველივე დირექტორიის წინააღმდეგნი იყვნენ. ტოკოიმ განაცხადა: „თუ ჭეშმარიტ სახალხო მმართველობის მაგივრად შემოიღებენ ტრიუმვირატის დიქტატურას, რევოლუციის ზარები ფინლიანდიაშიაც დარეკავენ!“

დირექტორიის იდეა ჩაკვდა. სოც. დემოკრატებმა მოითხოვეს ივლისის 18 კანონის გამოქვეყნება. ტალმანმა ეს საკითხი არ შეიტანა განსახილველად სენატში. სოციალდემოკრატებმა შეკითხვა შეიტანეს, თუ რამდენად კანონიერი იყო ტალმანის მოქმედება. სეიმმა შეკითხვა არ განიხილა.

მოლაპარაკება მთავრობის შექმნაზე დამთავრებული არ იყო, რომ ღვინობისთვის 31 პროფესიონალ კავშირთა ყრილობამ ფინლიანდიის ცენტრალ სარევოლუციო საბჭოს სახელით საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. ეს იყო ნიშანი სამოქალაქო ომის დასაწყებად.

გიორგობისთვის 2 სეიმმა მიიღო აგრარიების წინადადება უმაღლესი მმართველობის დროებით სეიმის ხელში გადაცემის შესახებ. ამასთანავე ერთად მიღებულ იქმნა კომუნალური კანონები და 8 საათის სამუშაო დღის კანონი. აგრარიები ხან ბურჟუაზიულ წრეებს უჭერდნენ მხარს, ხან სოც. დემოკრატებს. ამ დროს შესდგა წითელი გვარდია, რომელიც თავის ნებით აცუსვლებდა ქუჩებში ხალხს და მთელი ძალა უფლება სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა საბჭოს მიითვისა. წითელმა გვარდიამ მოითხოვა სეიმის დათხოვნა და „წითელი სენატის“ მოწვევა, რომელშიაც გარდა 3—4 აგრარიისა სოციალდემოკრატები უნდა შესულიყვნენ. რაკი ეს მოთხოვნილება არ მიიღეს, წითელმა გვარდიამ იარაღს მიმართა და სოციალდემოკრატებსაც ზურგი აქცია.

## საიდუმლო ხელშეკრულებანი

### ხელშეკრულება ოსმალეთის დანაწილების შესახებ.

1917 წლის თებერვლის 21. ოსმალეთის დანაწილებისა და არაბეთის ... ფორმის შესახებ 1916 წელს ინგლისსა, საფრანგეთსა და რუსეთის შორის პეტროგრადში და ინგლისში მოლაპარაკება სწარმოებდა, რის შედეგიც ასეთია: რუსეთი შეიერთებს: არზრუმს, ტრაპიზონს, ვანის და ბითლისის ოლქებს და აგრეთვე სამხრეთ ქურთისტანის ნაწილი სერტ-იბნ-ომარ-ამადია-სპარსეთის საზღვრის ხაზამდე. დაწვრილებით შემდეგში უნდა აღვნიშნოთ, თუ სადამდე უნდა გავრცელდეს შავი ზღვის პირზე რუსეთის მფლობელობა.

საფრანგეთს შეუერთდება: სირიის ზღვის პირი ნაწილი, ადანის ვილაიეთი და ის ნაწილი, რომელიც მოქცეულია სამხრეთით აინტაბ-მარდინის და ჩრდილოეთით ალადაგ-კესარია-აკდაღ-ილდიზ დაღ-ზარა-ეგინ-ხარპუთის ხაზებს შუა.

ინგლისს ეძლევა: მესოპოტამიის სამხრეთით ნაწილი ბაღდადით და აგრეთვე მოითხოვს ნავთსადგურებს სირიაში: კაიფას და აკკას.

ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოს შუა უნდა შესდგეს ან არაბეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და ან არაბეთის ოლქების კონფედერაცია. რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის ქვეშ უნდა იყოს.

ალექსანდრეტტა თავისუფალ ნავთსადგურად უნდა გამოცხადდეს.

მოკავშირე სახელმწიფოების სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად პალესტინა წმიდა ადგილებითურთ ოსმალეთს უნდა გამოეყოს. პალესტინის რეჟიმი რუსეთია, საფრანგეთის და ინგლისის შეთანხმებით უნდა შეიქმნეს.

სამივე მოკავშირე სახელმწიფო აღიარებს და სცნობს ომამდე არსებული კონცესიები და უპირატესობანი დაპყრობილ ქვეყნებში.

მოკავშირენი თანახმანი არიან თავის თავზე მიიღონ ოსმალეთის ვალის ის ნაწილი, რომელიც დაპყრობილ ოლქებს შეეხება.

ნამდვილთან სწორეა.

(უჭერიათ ხელი სახელმწიფოთა წარმომადგენლებს).

### ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთისა მოკავშირეებისაგან.

საიდუმლო დეპეშა რუსეთის წარმომადგენლებს პარიზში და ლონდონში ენკენისთვის 17—30 1917 წ. № 4303.

მოკავშირე სახელმწიფოთა აქაურ ელჩებთან უმეტესათ ამერიკის ელჩთან გულ-ახდილ ლაპარაკის შემდეგ ის დასკვნა გამოვიყვანე, რომ პარიზში ან ლონდონში მოხდარ უკანასკნელ კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება მოკავშირე სახელმწიფოებს შორის თუ ვინ რა გვარი მატერიალური დახმარება გაგვიწიონ, რომ შევსძლოთ ომის განგრძობა — მაგალითად, როგორც ჩანს, ამერიკელებმა ხელში აიღეს ჩვენში რკინის გზის ტრანსპორტის მოწესრიგების საქმე. ამ საკითხს ჩვენთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, დღევანდელ პირობებში ტეხნიკური და მატერიალური საკითხები ჩვენში ფრიად საშიშ სახეს ღებულობენ, რადგან არ ვიცით ფაქტიურათ მივიყვანთ ომს ბოლომდე თუ ვერა. მე მზათ ვარ უფრო წინ წავიდე—წინადადება მივსცე ჩვენ მოკავშირეებს უფრო მეტი აქტიური მონაწილეობა მიიღონ, ვიდრე დღემდე. ჩვენი მრეწველობის და ტრანსპორტის საქმის მოწყობაში, რომ იგინი მართლაც მზათ იყვნენ იკისრონ ეს საქმე. გთხოვთ შეეცადოთ და ფრთხილად გაიგოთ ამ ხრით საქმის მდგომარეობა და შემატყობინოთ თქვენი აზრი.

**ტერეშჩენკო.**

## ჯარისკაცის სალამი

გძლევნით სალამს თქვენ, სამშობლოს დამცველნო ამხანაგებო, ქართველ მსროლელ პოლკის ჯარისკაცებო! მოგილოცავთ ქუთაისში მშვიდობიანად ჩასვლას, ბედნიერი იყოს ღვთით თქვენი მანდ დაბინავება, და გისურვებთ ჩვენ ტურფა სამშობლოს დარაჯად დაუდგეთ.

**ჯარისკაცი კოტე ავთანდილის ძე მიქატაძე.**

# ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა

## საზოგადოების (17 გიორგობისთვის) მორიგი კრება.

12 ოქტომბერს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ კრებაზე ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის და საფინანსო კომისიის წინადადებით კომისია ამოირჩია: საზოგადოების გამგეობასთან ერთად პროფ. პ. გ. მელიქიშვილი, პრივ.-დოც. ალ. ნიკ. ჯავახიშვილი, მათემატიკის მეცნიერების კანდიდატი არ. ხარაძე და ექიმები: სპ. ს. ვირსალაძე, გრ. მ. მუხაძე, ივ. ეგ. თიკანაძე და მიხ. დ. წინამძღვარიშვილი, დაავალა საექიმო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტისათვის საგნების ნუსხის და წინასწარი გეგმის შემუშავება. ამავე კომისიას დაევალა მეცადინეობა, რომ დროისთვის შესაძლებელი იქნებოდა, რომ ქართულ უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტიც გახსნილიყო და გამოეძებნა საშუალებანი, რომ ადგილობრივი სავადმყოფოები გამოეყენებინა საუნივერსიტეტო კლინიკებად. ამ ამორჩეულმა კომისიამ კერძო კრებებზე შეადგინა პროექტი მომავალ საბუნებისმეტყველო და საექიმო ფაკულტეტისა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ, კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ქართულ უნივერსიტეტთან საბუნებისმეტყველო და საექიმო ფაკულტეტი 1918 წლის შემოდგომიდამ, მოიწონა პროექტი და გამოსთქვა ის აზრი, რომ ამორჩეული კომისია უნდა დარჩეს მუდმივად და მოქმედებდეს, ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების მონდობილობით, ქართულ უნივერსიტეტის გამგეობასთან ერთად. (შემუშავებული პროექტი მომავალ საბუნებისმეტყველო და საექიმო ფაკულტეტისა დაიზადებულია ამ ჟამათ ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისათვის გადასაცემად, რაც ცალკე დაიბეჭდება).

ამ სამზადისის ხანაში ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების გამგეობა პრაქტიკულ ნიადაგის მომზადებასაც შეუდგა, რომ მატერიალურად უზრუნველჰყოს ფაკულტეტის დაარსება. გამგეობის წევრმა ექიმმა ვ. დ. ღამბაშიძემ საზოგადოებას გააცნო იმ პირთა სია, რომელთაც თავისი წვლილი შემოიტანეს ქართულ უნივერსიტეტთან მომავალ საექიმო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დასაარსებლად. ამ შეგროვებულ ფულისათვის რომელიც 11556 მან. უდრის, საზოგადოებამ მუდმივ საფინანსო კომისიის შეგროვებად აირჩია ექიმები: ნ. მელიქიშვილი, დ. აბულაძე და ნ. ჯავახიშვილი და დაადგინა, მომავალში შეგროვებულ ფულთან ერთად, საფინანსო კომისიას, არსებულ ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან, გადაეცეს საექიმო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მოსახმარებლად. საზოგადოებამ ყველა შემომწირველთ მადლობა გადუხადა.

დასასრულ საზოგადოებამ მიანდო პროფ. პ. გრ. მელიქიშვილს საშუალების შემუშავება, რომ ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა და საუნივერსიტეტო საზოგადოებამ ერთად იმოქმედოს, საბუნებისმეტყველო და საექიმო ფაკულტეტის დასაარსებლად.

აქვე მოგვყავს იმ პირთა სია, რომელთაც ერთდროულის შეწირვით საფუძველი დაუდვეს ქართულ უნივერსიტეტთან მომავალ საექიმო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს. ესენი არიან: ივ. თიკანაძემ ასი თუმანი, ნ. მელიქიშვილმა ასი თუმანი, ვ. მუსხელიშვილმა ასი თუმანი, გ. მუხაძემ ასი თუმანი, ს. ვირსალაძემ ასი თუმანი, პრ. პ. მელიქიშვილმა ასი თუმანი, ლ. ფაღავანიშვილმა ორმოცდაათი თუმანი, ი. გომართელმა ორმოცდაათი თუმანი, ნ. ჯავახიშვილმა ორმოცდაათი თუმანი, ვ. მაჩაბელიშვილმა ორმოცდაათი თუმანი, ა. ბალარჯიშვილმა ორმოცდაათი თუმანი, ე. მძინარიშვილმა ორმოცდაათი თუმანი, დ. აბულაძემ ოცდაათი თუმანი, მ. ცისკარიშვილმა ოცდაათი თუმანი, შ. მიქელაძემ ოცი თუმანი, ლორთქიფანიძემ ოცი თუმანი, თ. ჯავახიშვილმა-ყაურიშვილმა ათი თუმანი, გ. გაბაშვილმა ათი თუმანი, ს. მამრაძემ ათი თუმანი, დ. მგალობლიძემ ათი თუმანი, პროფ. ვ. აბულაძემ ორმოცდაათი თუმანი, დოქ. ი. ლაზბმა ათი თუმანი. თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის ექიმითა თანამშრომლით, მოწყალეებმა [illegible]

მეთაურობით შეგროვილი 56 მან. შემოიტანეს და აქვე მოგვყავს ამათი სიაც: ნ. მელიქიშვილმა და ზ. დ. თუმანიშვილმა ოც-ოცი მანეთი, ი. ხუბულავამ ორი მან., თითო მანეთი: ვ. გარმიშაშვილმა, ჯარის კაცმა ტატიშვილმა, ი. მირზირაშვილმა, ს. ძაგანიამ, ვ. ქარცივაძემ, ი. გუზალაშვილმა, გ. მაისურაძემ, ა. გატოშიამ, ს. ციდილაშვილმა. ათ-ათი შაური: მ. თეალქერელიძემ, ა. უთნელიძემ, ს. მამულაშვილმა, მ. ალექსიშვილმა, ზ. ოგურონაშვილმა, გ. შაშვიაშვილმა, გ. ტერეშკოვმა, ა. კოპილევიჩმა, დ. რანსკიმ და მიხაილ სოკოლმა.

მდივანი ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა ექიმი **ნ. ჯავახიშვილი.**

## კორესპონდენცია

### ხევიდან

**ხევი და მთიულეთი.** როგორც ვიცით, დამფუძნებელი კრებისათვის ხმის მიცემა უნდა დაწყებულიყო ნოემბრის 12-ში დილით, მაგრამ კვირა დილით ყაზბეგში გაჩნდნენ სოც.-დემოკრ. პროპაგანდისტები ბ. ზამბახიძე, მისივე განცხადებით, „კრაევოი ცენტრი"-დან არჩევნების გამო სარევიზიოდ გამოგზავნილი ქ. ნარეკლევი, რომელთაც მოსვლისთანავე ბრძანება გაეცათ ხალხი მოეკრიბათ მიტინგისათვის, თუმცა 9 გიორგობისთვეს თვით ბ. მაზრის კომისარი იყო ხევში, მიტინგები გაემართა და წესრიგიც მოეწყო არჩევნებისა.

დილიდანვე შეეტყო გაცხარებული მუშაობა აგენტებისა, რომელნიც შემთხვევის მიხედვით ყველა სიმებზე უკრავდნენ. ხალხში ისმოდა, რომ „მუშათა პარტია" საქართველოში სამოთხისებურ ცხოვრებას დაამყარებს, მოითხოვს საკუთარ ფულს, წინააღმდეგია რუსეთიდან გამოყოფისა და სხვა. რასაკვირველია, ყუთის დადგმა თავის თავად გადაიდო. ხალხმა ბლომად მოიყარა ყაზბეგიდან და სხვა სოფლებიდან თავი. კრებაც გაიხსნა ნაშუადღევის 2 საათზე და ხალხიც გაცნობილ იქმნა, რომ ილაპარაკებენ წარმომადგენელნი რუს. სოც.-დემ., სოც. ფედერ. და საქარ. ერ.-დემ. პარტიებისა.

ხევი მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩაუგთან (კავკავთან) როგორც სიახლოვით, ისე სურსათის საკითხით და ჩვენი აგიტაციის წყალობით აგენტების საშუალებით ხალხიც გაისმის გაბოროტებული კილო: ჩვენ საქართველო არ გვინდა, საქართველოსთან არა გვაქვს რა საერთო, ჩვენ რუსეთიდან ვცხოვრობთ, ურუსეთოდ მშივრები დავიხოცებით, აღარ გვექნება არც პური, არც სიმინდი და სხვა, ერთს დღეს აგვიკლებენ მტრები, როგორც ჩვენი მეფეების დროს ხდებოდა. ერთი სიტყვით ვინც იცნობს სოც.-დემოკრ. ტაქტიკას, ის თვითონ წარმოიდგენს ყველაფერს, მეტადრე ასეთს გამწვავებულ დროს.

როგორც კრების ინიციატორთ პირველი მოხსენება რუსულ ენაზე (კრებას 10—15 რუსის ჯარისკაცი დაესწრო) წაიკითხა ქ. ნარეკლევმა, შემდეგ ქართულად ბ. ზამბახიძემ და შემდეგ გაიმართა კამათი.

ბ. ზამბახიძემ ალაგ-ალაგ მოხევეთ და მოხიბლველი კილოთი გააცნო ხალხს ბედნიერი ხანა ქართველი ერისა რუსეთთან შეერთების დღიდან, რაც, სხვათა შორის, აღინიშნა იმით, რომ რუსის გლეხობის წყალობით საქართველომ მოიხსნა ბატონყმობის უღელი და თვითმპყრობელიც, ე. ი. თუ რუსეთი არა, საქართველოში ისევ ბატონყმობა, მტარვალი მეფეც და, ვინ იცის, კიდევ რამდენი უბედურება არ იქნებოდა და აბა, ხაზს უსვამს მოხსენებელი, როგორ უნდა ჩამოვშორდეთ პოლიტიკურად რუსის ხალხსო, მაგრამ მუშათა პარტიის პროპაგანდისტებისათვის ხომ სირცხვილი არაა ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრების გატარება მეტადრე იქ, სადაც ხალხის უბირობით და გულუბრყვილობით შესაფერ ნიადაგს ჰპოულობენ, ოღონდ გული მოულბონ, მოხიბლონ და, თურმე ნუ იტყვით, რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშათა პარტიის ლოზუნგი ყოფილა „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში".

ხალხი მოიხიბლა, აღარც კი უნდოდათ მოწინააღმდეგეთა მოსმენა და ბოლოს კრების გათავებისას, საღამოს 7—8 საათზე მოინდომეს ყუთის დადგმა და მიუხედავად მოწინააღმდეგეთა [illegible]

ზაო, თან წამქეზებლები დაჟინებით მოითხოვდნენ ყუთის დადგმას, რაც დადგა კიდეც ბევრი აყალმაყალის შემდეგ.

შედეგი ყველა ამისა იყო ის, რომ მეორე დღეს ბლომად იხეოდა მე 8 და 6 №№ სია.

მეზობელ საარჩევნო რაიონში სოფ. გერგეთში ხმის მიცემა საჯაროდ ხდებოდა. ყუთი იდგა სკოლის შენობაში, ყუთთან მაგიდაზე ეწყო სიები № 1, 6 და 8. იქვე სხედს კომისია, ოთახი გაჭედილია ხმის მიმცემით, ხმის მიმცემი მიდის მაგიდასთან, მას უჩვენებენ მე-8 და 6 № სიას, ეუბნებიან, აი ეს მდიდრებისაა, მერე აძლევენ № 1 სიას, თან კონვერტს მიაწვდიან და ეტყვიან, აი ეს საწყალი ხალხის პარტიისაა, და ხმის მიმცემიც იქვე ჩაუშვებს ყუთში. რო კიდეც ვისმე უნდოდეს, როგორ გებედავს სხვა № ის სიის ჩაგდებას, თუ არა № 1-ისა.

საერთოდ ყველამ იცოდა ვინ ვის ძლევდა ხმას და აი სოფ. სიონშიც (საარჩევნო რაიონია) გაიგეს, რომ პირველ დღეს ერთი ხმაც არ მიიღო მუშათა პარტიამ. გამოჩნდნენ ვაჟკაცები, რომელნიც ძალმომრეობით თხოულობდნენ, გინდა თუ არა, ხმები სულ მუშათა პარტიას უნდა მიეცეთო და, რადგან ბევრი გაგაგრძელო, რადგან ეს ასე არ ხდებოდა, ღამე სიონის დალაქული ყუთი გატეხეს, კონვერტები დახიეს და შიგ, ყუთში, ორი თაგვი ჩააკლეს.

მე მგონი სხვაგანაც ანალოგიური ამბები იქნება, მით უმეტეს, როგორც ვიცი, ზემო და ქვემო მთიულეთის რაიონებში მთელი ძალღონით მოქმედებდნენ ოფიციალი პირები—კომისრები თავისი მილიციონერებით, რომელნიც არიგებდნენ № 1 სიას და ხალხს პირდაპირ ეუბნებოდნენ: ხმა მიეცით მუშათა პარტიის № 1 სიას, თორემ მათრახებით წელებს დაგწყვეტთო და ამავე დროს სხვა №№ ის სიების წართმევა, დახევა და № 1 სიის მიცემა სამაგიეროდ შედარებით კიდევ შედავათიანი საშუალება იყო. თუმცა ჯერ ყუთები არ დახსნილა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ზემო-მთიულეთის არც ერთს საარჩევნო რაიონში არც ერთი სია, გარდა № 1-ისა, ყუთში არ აღმოჩნდება. არც დაგიდევენ ვინ იქნება ხმის მიმცემი, სიაში შეტანილი თუ არა, ბავშვი თუ წლოვანი, ოღონდ კონვერტები სულ გასაღდეს.

ქვემო მთიულეთის რაიონში მაგ. კრცანში თვით თავმჯდომარე კომისიისა და კომისიაც ყველა საექვო კონვერტებს ხევდნენ და ამავე დროს ერთი კაცი ოცსა და ოცდა-ათს კონვერტს აგდებდა ყუთში თავისა და ყველას მაგივრად ისე, რომ მთელი კონვერტები 30—40 კაცმა გაასაღა და მერე ფასანაურს აგზავნიდნენ კაცს კონვერტების საყიდლად.

რაიმე შენიშვნაზე უწესრიგობის გამო პასუხი მარტივია ხოლმე: ვის რა საქმე აქვს, რაც უნდა გავაკეთოთ. ხალხი თავის ნება და კანონიც თვითვე. ამას ჰქვიან დამფუძნებელი კრებისათვის დაკანონებული წესრიგით მომხდარი არჩევნები. ვინ არის დამნაშავე მკითხველმა უწყის და იცის.

ნ.

## ს. საგარეჯოდან.

საგარეჯოს საკრედიტო ამხანაგობის თაოსნობით ამა გიორგობისთვის 16-ს სოფ. საგარეჯოში გაიმართა თათბირი ივრის ხეობის საკრედიტო და მომხმარებელ საზოგადოებათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა. საგანი თათბირისა მეტად საგულისხმიერო იყო და გასაკვირველი არაა, რომ მონაწილეთა შორის მკვირცხლი კამათი გამოიწვია.

თათბირის კრებაზე დამსწრე დავ. ჩხეიძემ მოახსენა ამიერ-კავკასიის მთავრობის განზრახვის შესახებ, რომელსაც ჰსურს ახლო მომავალში განახორციელოს ერობის შემოღება წმინდა დემოკრატიულ საფუძველზე. მომხსენებელმა კრებას განუმარტა ჩვენი სოფლისათვის ერობის ორგანიზაციის მნიშვნელობა და მისი ყურადღება მიაქცია იმ საკითხს—სასურველი და საჭიროა თუ არა კოოპერატივების დამოუკიდებლად გამოსვლა ერობის ორგანიზაციების აშენების დროს, სასურველია თუ არა კოოპერატივები საკუთარი სიით გამოვიდნენ სამაზრო საბჭოს ხმოსნების არჩევის დროს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად აღიარა აუცილებლივ ერობის არჩევნებში კოოპერატივების დამოუკიდებლად გამოსვლა და კომისიაც ამოირჩია მთელი მაზრის კოოპერატივების ყრილობის მოსაწვევად, რომელმაც იგივე საკითხი უნდა განიხილოს და საკუთარი სიაც მომავალ ერობის ხმოსნებისა შეიმუშაოს. კომისიაში ამოირჩიეს: დ ვ. ჩხეიძე, ალ. ხატისკაცი, ნ. ბაზიერაშვილი, ვას. მჭედლიშვილი და ანტონ ბერიშვილი.

კრება ალტაცებით შეხვდა საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე ერთი დელეგატის გაგზავნას და დიდის სიამოვნებით შეასრულა ეს მოვალეობა. გარე კახეთის კოოპერატივების წარმომადგენლად ეროვნულ ყრილობაზე ფარული კენჭის ყრით კრებამ ამოირჩია ვასილ მჭედლიშვილი, მის კანდ. ანტონ ბერიშვილი.

ივრის ხეობა ყოველთვის პირველთაგანი იყო სხვა და სხვა კულტურულ საქმის განხორციელებაში. ახლაც მასა ჰსურს მოწინავე რაზმში იყვეს, რადგანაც საქართველოს მომავალ ორგანიზაციის საკითხი პრაქტიკულად ყოველ შეგნებულ ქართველისათვის პირველ საზრუნავ საგნად გახდარა. თათბირმა დელეგატს დაავალა ყრილობაზე მტკიცედ დაიცვას ეროვნულ პლატფორმის ძირითადი დებულებები.

საქართველოს სხვა კუთხეებისათვის მისაბაძია ივრის ხეობის კოოპერატივების პირველი ნაბიჯი ერობის მოწყობის საქმეში მონაწილეობის შესახებ. მათ ღრმადა სწამთ, რომ ერობის შემოღებამდე ნაწილი იმ მუშაობისა სოფლად, რომელიც შემდეგში ერობამ უნდა აწარმოვოს, კისერზედ აწვათ კოოპერატორებს და ეს უკანასკნელნი შეძლების დაგვარად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ერობის მუშაობა გაგრძელება იქნება ერთის მხრით კოოპერატივების მოღვაწეობისა ჩვენ სოფლად. ამ მხრით თავის-თავად ცხადია, თუ რამდენად საინტერესოა კოოპერატორებისათვის ერობის მუშაობაში ჩარევა. კოოპერატორების მონაწილეობა ერობაში თავდებია ამ ახალ ორგანიზაციაში საქმიანობის პრინციპის შეტანისა. მარტო პოლიტიკურ პარტიების მონაწილეობა არჩევნებში, მგონია, ვერ იძლევა გარანტიას იმისა, რომ ერობის ორგანიზაციებში ჩვენი სოფლისათვის საჭირო საქმიანობა განმტკიცდეს. მაშ, სიამოვნებით მივესალმებით ივრის თათბირის ინიციატივას და ვუსურვებთ გამარჯვებას.

თათბირისათვის საწუხაროდ დარჩა კრებაზე სოფ. მარტყოფის კოოპერატივთა წარმომადგენლების დაუსწრებლობა.

დამსწრე

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

## კალენდარი

**პარასკევი, გიორგობისთვის 24**

მე-10 დღე ქრ. შობის მარხვისა.

**ქართვ.** წმ. ქალწ. მოწ. ეკატერინასი. წმ. დიდ. მოწ. მერკვირისი.

**კათოლ.** წმ. იოანესი.

**მაჰმად.** ჯუმა 21 რ. საფარისა 1336 წ. ჰ ჯრისა.

**ებრაელ.** იომშიშ 23 რ. ქისლევი 5678 წ. ქვ. შექმ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 5, | 11,32 დილ. |
| | სამგზ. | № 9, | 11.28 დილ. |
| ხაშურ-ბორჯომის. | | № 19, | 3.17 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.46 საღ. |
| საქარასკენ | სამგზ. | № 4.8, | 12.15 საღ. |
| „ | | № 61. | 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე). |
| „ | | № 63.4, | 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.38 დილ. |
| „ | საფ. | № 6, | 7,41 საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.57 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10 26 დილ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10 20 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 7. 58 დილ. |

## კახეთის რკინის გზა

**თბილისიდან გადის:**

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

**თბილისში მოდის:**

საღამოთი 6.24 წუთ.


# ლიმონადის ქარხანა

## დ. კ. ლოლაძისა და ამხ.

თებერვლის 19 ის ქუჩა № 28

ამით ვაუწყებ ჩემი ქარხნის მშუშხავი წყლების პატივცემულ ბითუმად მონხმარებლებს, რომ ჩემივე ფურგონით

## წყლის დატარებას ვსწყვეტთ

რადგანაც ცხენების საკვები ვეღარ გვიშოვნია; ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ თვითონვე მოდით თქვენს თავზე წყლების წაღება, რისთვისაც მყიდველებს 20 პროცენტით ნაკლებ ფასებში დაეთმობათ იგი. ქარხანაში იყიდება 4 ცხენი.

სრულის პატივისცემით დ. კ. ლოლაძე.

3—884—1

ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გათუმის

# ქართულ სკოლაში

გაიხსნა მასწავლებლის ადგილი.

ჯამაგირია 2,000 მან. წლიურად. თხოვნა გამოიგზავნება გამგეობის თავმჯდომარის გ. ელიავას სახელობაზე.

4—880—2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

# მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართული სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განყოფილებაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

# თბილისის

## პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ექვთიმე იაკობის ძე გეგეჭკორთან.

## მესამე და მეოთხე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტურკინის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

## მეორე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე ნოემბრისა კომისართის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.

## მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ სავაჭრო(?) (ხალ ფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომ ე დ. დემბაძესთან და კლუბის გამგებელ კალანდარიშვილთან.

# ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

# იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის სამრეწველო-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ცორონცოვის ქ. № 4. თ—766—36

Г. ГВАЗАВА

# Грузія

съ точки зрѣнія

МЕЖДУНАРОДНАГО ПРАВА

გამოიცა და იყიდება საქ. ეროვ. დემ. პარტიის ბიუროში.

10—9

ექიმი

## ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და ასოთაშორისო (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილი-ხოდნევისამ

გ ა ნ ა ა ხ ლ ა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღის ქუჩა, № 22.

25—823—23

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

## ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

თ—879—2

ექიმი

## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.

გუნიის ქუჩა № 41

ტელეფონის № 14—09

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

იღებს საოლოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფ ცეროთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—21


სტამბა „სახალხო" კალანდაძისა გრიბოედოვის (?) ქუჩა № 6.

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"